ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4+
რფვფყჯდფვ
* კფჰბ
!* ფგჰბკბლფყ




jhif,fsb7 @# fghbkb7 @)!@ 195 (5785) afcb5 #) stshb

# ივანიშვილი ნაციონალების დეპუტატობის კანდიდატს აფინანსებს

დედოფლისწყაროელი ნაციონალების ლიდერი ბიზნესმენისგან თვეში 1500 ლარს იღებს


გვ.3

## ბიძინა ივანიშვილი: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაზე პასუხისმგებლობას ვიღებთ“


გვ.4

## ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ მანანა კობახიძე აირჩიეს


გვ.3

## ტრამპის ბათუმში ყოფნისას რედისონში“ კანალიზაცია გაფუჭდა


გვ.6

## ირაკლი ალასანია: სააკაშვილი წარსულს ჩაბარდა“

## კოკა გუნცაძე: ამომრჩეველთა ზუსტ რაოდენობას აუცილებლად დავადგენთ!“

გვ.7



## სტატუსის აღდგენის მოთხოვნით დღეს სტუდენტების აქცია გაიმართება გვ.2



## ილია II: ადამიანს მტკიცე რწმენა უნდა ჰქონდეს“

გვ.2

## პეტრე მამრაძე: გოშია პოლიტიკოსებს ხმა არავინ უნდა მისცეს!“

გვ.2





## ხელისუფლება ქართულ სოფელს კარგავს

გვ.7

## ნანა კაკაბაძე ლაშა თორდიას მიკერძოებულობაში ადანაშაულებს გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

3 ზაზა სოფრომაძე: ტრამპი ფინანსური მანიპულაციებითა და მაქინაციებითაა ცნობილი“

5 პარლამენტი გარემოს ზიანს აყენებს
რას აპროტესტებენ გარემოს დამცველები

11 ჯოზეფ ბაიდენის თვითმფრინავი ჩიტების გუნდს შეეჯახა

6 ჯონ ბასი: ტრამპის სახელით ქვეყანაში გრანდიოზული პროექტი ხორციელდება“

კევ]ბ ობსტკბ .ღბსტკბ იფღბ

# პეტრე მამრაძე: გოშია პოლიტიკოსებს ხმა არავინ უნდა მისცეს!“

ქეთი ხომერიკი



**არის თუ არა მილიარდერი ტრამპის ჩამოსვლა მწვანე შუქი ყველა ინვესტორისთვის, რა დავალება მისცა მერაბიშვილმა პედაგოგებს და რა უთხრეს უცხოელმა ექიმებმა სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მამრაძეს ? „ახალ თაობას“ ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წარმომადგენელი პეტრე მამრაძე ესაუბრა.**

**პეტრე მამრაძე: — ეს არის კურიოზი, რადგან ცნობილია, რომ ტრამპი არათუ კაპიკს არ დებს საქართველოში, არამედ ვეებერთელა ფული აქეთ მიაქვს საქართველოდან. როგორც ვიცი, სახელისთვის 200 მილიონ დოლარზე მეტს უხდიან და საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე ხდება ეს ტყუილი პიარი, ხალხის კიდევ ერთხელ მოტყუება.**

***— ხელისუფლება კი, სიხარულისგან მეცხრე ცაზეა... ქობალიას, თქმით, ტრამპის ჩამოსვლა მსოფლიოს მასშტაბით ყველა ინვესტორისთვის მწვანე შუქია საქართველოში ინვესტიციების განსახორციელებლად, ასეა, ბატონო პეტრე?***

— ეს არის სრული აბსურდი. 2007 წლის 7 ნოემბრიდან მოყოლებული სააკაშვილი დგას, როგორც ნამდვილი საფრთხობელა, აი, ბოსტანში რომ დააყენებ, ისეთი და აფრთხობს ინვესტორებს. ალბათ, თქვენთვის ცნობილია, რომ წინა წელს უცხოეთში მომუშავე ქართველების გზავნილებმა — მილიარდ 200 მილიონზე მეტმა დოლარმა ორნახევარჯერ გადააჭარბა ინვესტიციებს. აი, ეს უკვე კატასტროფაა და ეს ოფიციალური ციფრებია. მე, ვამბობდი, რომ, აი, ამ საფრთხობელას ფონზე, როგორიცაა ჩვენი პრეზიდენტის მოქმედება მთელი მსოფლიოს წინაშე, დებმა ქობალიებმა თითოეულ პოტენციურ ინვესტორს ინდივიდუალურად, რომ ჩაუტარონ სტიპიზიციესი, ინვესტიცია მაინც არ შემოვა-მეთქი, ასეც არის და ეს განცხადებები მხოლოდ პიარზეა გათვლილი.

***— საფრთხობელა ეძახეთ და ტრამპის თქმით, არაჩვეულებრივი პრეზიდენტი გვყავს, რომელზეც მთელი მსოფლიო საუბრობს, მისი მიღწევების გამო... უგულავამ გახარებულმა გვამცნო, შესაძლოა, ტრამპის პროექტი თბილისშიც განხორციელდესო...***

— კარგით რა! დღეს არანაირი დაპირება, არანაირი მზაობა ტრამპისგან არ არის. ეს ადამიანი აქეთ იღებს ფულს და თუ რამე აშენდა და დაერქვა მისი სახელი, ეს ისევ ჩვენი ხალხის ფულით აშენდება, რომელიც ისედაც ძალიან გაღარიბებულია.

***— სხვათა შორის, ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ გაღარიბებული ხალხისთვის მოიცალა, რეგიონის მოსახლეობას ხვდებიან, პედაგოგებს რესტორნებში ეპატიჟებიან... ნეტავ, რაზე უნდა ესაუბრებოდნენ იგივე პედაგოგებს?***

— კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საზოგადოება აღშფოთდა და ჟურნალისტებს უნდა ვუთხრათ მადლობა, რომ გამოქვეყნდა ეს ინფორმაციები, რომ რესტორნებში, ხაზს ვუსვამ, რესტორნებში სუფრასთან იწვევენ პედაგოგებს, რომლებსაც საკუთარ აქტივისტებს უწოდებენ. აი, ასეთი მზადებაა არჩევნებისთვის, მაგრამ გავიხსენოთ, დაშინებისა და დაძალების კამპანია, კარგა ხანია, მიმდინარეობს საქართველოში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. მას შემდეგ რამდენი დაძალების, ძალადობისა და დაშინების ფაქტი იყო, რა დათვლის. სამწუხაროდ, ახლაც ასეთი ვითარებაა და, რა თქმა უნდა, ეს არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. კაცმა არ იცის, რას და როგორ ეუბნებიან ამ პედაგოგებს და პედაგოგი, მოგეხსენებათ, როგორი მგრძნობიარე ნაწილია ჩვენი საზოგადოების და რა დღეში არიან, როგორი დაბალი ხელფასი აქვთ. სააკაშვილმა კი თქვა უცხოელებთან ინტერვიუებში 400 დოლარია მინიმალური ხელფასი პედაგოგისო, მაგრამ სინამდვილე არის გაცილებით უფრო მძიმე. ყველაზე დატვირთულ და დამსახურებულ პედაგოგს 2 ჯერ ნაკლები აქვს ხელფასი, ვიდრე მანდატურს. რას უნდა ეუბნებოდნენ, რა თქმა უნდა, ხმებზეა აქ საუბარი და არა მარტო, თვითონ უნდა მისცენ ხმა, არამედ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ ბევრი ადამიანი მიიყვანონ არჩევნებზე მათთვის ხმების მისაცემად, მაგრამ იმუშავებს კი, ეს რეჟიმის სასარგებლოდ? დარწმუნებული ვარ, არა.

***— მერაბიშვილი უნდა ესწრებოდეს ამ შეხვედრებს?***

— მე, არ ვარ იურისტი, მაგრამ როგორც ვიცი, ეს კანონის დარღვევა არ არის, აქვს უფლება, რომ შეხვდეს ადამიანებს სხვადასხვა ფორმატში, მაგრამ ძალიან დიდ ეჭვს, შეშფოთებას იწვევს ის, რომ ეს შეხვედრები არის დახურული. და მაშინ, როცა აშკარაა, რომ ამაზე დიდი ხარჯები იქნა გაწეული, ამბობენ, რომ არაფერი არ დაგვიჯდა რესტორანი, ისე დაგვითმესო. ალბათ, ისე დაუთმეს ფართიც და ის პურმარილიც, რომელიც იქ გაიშალა. აი, ეს კანონიერია, რომ ისე დაუთმეს რესტორანი? რა თქმა უნდა, არა!

***— იკვეთება, რომ ხელისუფლება სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად, რაზეც ყოველდღე საუბრობს, არ ემზადება?***

— მინდა ამერიკელი მეცნიერის ლინკონ მიჩელის სიტყვები მოვიყვანო — ,,პრობლემა საარჩევნო კოდექსი კი არ არის, არამედ ის, რომ მმართველ გუნდს აღარ აქვს იმის საშუალება, რომ ჩაატაროს ისეთი არჩევნები, რომელიც შეიძლება წააგოს“. ჩაწვდით ამ ფრაზის აზრს ? ე.ი. მათთვის წაგება დაუშვებელია, რატომ? იმიტომ, რომ ციხეში მიდიან და ეს, მშვენივრად, იციან. მათთვის ხიდები გადამწვარია და უკან დასახევი გზები ჩახერგილია. შეუძლიათ მხოლოდ ერთი რამ — ნებისმიერ ფასად, უკანონო თუ ძალადობრივი გზით გაიმარჯვონ ამ არჩევნებში, ვერ გაიმარჯვებენ არსებითად.

***— ,,ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ირწმუნებიან, სააკაშვილი შეშინებულიაო, ძიძიგურმა, ჩვენ ვართ უკვე ხელისუფლებაშიო, წლებია ასეთი განცხადებები გვესმის, შეშინებულია კი, სააკაშვილი და მისი გუნდი?***

— მე, მაქვს კონტაქტები და ვიცი, რაც ხდება, გეტყვით, როგორი ვითარებაა. თავიდან იყო სრული პანიკა, ამ პანიკამ გამოიწვია ის პანიკური რეაქციები, როგორიც იყო ბანკის მანქანის დაყაჩაღება, შემდეგ ის, რაც გაუკეთეს ივანიშვილის მომხრეებს და სხვა, მაგრამ თანდათან ამ ბირთვში ეს პანიკა დაცხრა და მოხდა სრული მობილიზაცია. ზედა ეშელონებმა, ვინც არის სააკაშვილის გვერდით, 5-6 კაცი, გვერდზე გადადეს ყველანაირი უთანხმოება და ქიშპობა.

***— არსებობდა კი, ეს უთანხმოება? რაც თავი მახსოვს, ,,ნაცების“ რღვევას ელიან, თუმცა...***

— ნამდვილად არსებობდა, ყოველთვის არის ასეთი რამ გუნდში, კონკურენციაა ერთგვარი. იქ ლაპარაკი იყო მერაბიშვილის გუნდზე, აქეთ ბოკერიას გუნდზე, იქით უგულავას ჯგუფზე და ა.შ. აი, ყველაფერი გვერდზე გადაიდო და ახლა ერთ მუშტად არიან შეკრულნი, მაგრამ საინტერესო მოვლენა არის სხვა რამ — საშუალო და ქვედა ეშელონებში ის მკაცრი, ულმობელი ხელი, რომელიც მართავდა ქვეყანას და ის დისციპლინა, რომელიც იყო იქ, უკვე აღარ იგრძნობა. აი, იგივე რეგიონებში გამგებელი, მისი მოადგილე, კი ბატონო, მაგრამ უფრო დაბლა, ხალხმა უკვე დაიწყო თავისუფლად ლაპარაკი, რომ ესენი წამსვლელები არიან, რომ არ შეიძლება ამათი დარჩენა, რადგან ქვეყანა მოსპეს, რა თქმა უნდა, კერძო საუბრებში ამბობენ.

***— და რაც შეეხება სააკაშვილს, ისეა შეშინებული და დაპანიკებული, რომ ნარკოტიკულ საშუალებებს იღებს დასამშვიდებლად?***

— მახათას მთაზე რა დღეში იყო ყველამ ნახა. მანამდე მე, რამდენჯერმე მითხრეს უცხოელმა ექიმებმა, ვინც ნახეს ჩვენი პრეზიდენტი ეკრანზე, რომ ვითარება არის მძიმე, ნარკოტიკების მხრივ, ეს მათ მითხრეს, მე, ამაში ცუდად ვერკვევი, მახათას მთაზე კი, ყველაფერი გასაგები გახდა, ფაქტია, ადამიანი ჭკუაზე არ არის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს გუნდი რამეს დათმობს, პირიქით, ხაზს ვუსვამ, არის სრული მობილიზაცია. სააკაშვილი გახდა მათთვის უალტერნატივო და აუცილებელი ლიდერი, რადგან სხვა არც ერთი ადამიანი არ ჰყავთ, ვისაც შეუძლია ასე ელაპარაკოს ხალხს, ასე გამოვიდეს, ასეთი დემაგოგიით, გაუგონარი ტყუილებით, მაგრამ ერთგვარად დამაჯერებელად, რომ ჟღერდეს. მას შეუძლია გახსნას საავადმყოფოები, სადაც არის ჩამოტარებით აპარატურა. შეგიძლიათ ნახოთ რეალურად რომელი საავადმყოფო მუშაობს და რამდენია იქ საწოლი და როგორი აპარატურაა მის გახსნილ საავადმყოფოებში, მაგრამ ეს ყველაფერი მას შეუძლია, ასეთი სურათის შექმნა ეკრანზე შეუძლია ამ კაცს.

***— აი, ამ ყველაფრის ფონზე როგორ გაუწევს კონკურენციას ივანიშვილი, როგორია თქვენი მოლოდინი?***

— საზოგადოებაში ეს ბევრს ადარდებს. სულ ვამბობ, რომ კრიტიკული ვითარებაა. საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ქველმოქმედი დღეს დაუპირისპირდა ხაზინის ქურდების რეჟიმს. ისინი კი, შესაბამისად, უპირისპირებენ ტყუილს, სიძულვილს, ძალადობას, დემაგოგიას, აქედან კიდევ არავითარი დემაგოგია და პოპულიზმი არ ისმის, მხოლოდ სიმართლის თქმა კორექტული ფორმით. ეს სრულიად ახალი რამ არის პოლიტიკაში, მით უმეტეს, როგორც საზოგადოებაში ამბობენ, საკმაოდ ბევრი არაპოპულარული ადამიანი გაჩნდა გარემოცვაში და ჩამოეკიდა ამ დიდ ქველმოქმედს კისერზე. რთული ვითარებაა, მე, მაინც იმედი მრჩება, რომ ბევრი ჩვენი მოქალაქე კიდევაც მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას და სწორ არჩევანსაც გააკეთებს – არ მისცემს ხმას, არც ნაციონალურ მოძრაობას და არც მის სატელიტ პარტიებს, უფრო სწორად, გოშია პოლიტიკოსებს.

## სტატუსის აღდგენის მოთხოვნით დღეს სტუდენტების აქცია გაიმართება

სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის სტატუსის აღდგენის მოთხოვნით დღეს საპროტესტო აქცია გაიმართება.

როგორც „ნიუსპრესს“ სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის და „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ახალგაზრდული ფრთის წევრმა გიორგი გვიმრაძემ განუცხადა, აქცია ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსთან გაიმართება.

გიორგი გვიმრაძის განმარტებით, ხვალინდელ აქციას ინფორმაციული ხასიათი ექნება და ის ერთგვარი მზადება იქნება უფრო მასშტაბური აქციისთვის.

აქციაზე სტუდენტები სწავლის გადასახადის შემცირებასაც მოითხოვენ.

სტუდენტების პრობლემების გადაჭრის მიზნით საინიციატივო ჯგუფი ორი თვის წინ შეიქმნა. მათ აქციები უკვე გამართეს. როგორც საინიციატივო ჯგუფში აცხადებენ, ამჟამად სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სტატუსი 10 000 სტუდენტს აქვს შეჩერებული.

ნიუსპრესი

## ილია II: ადამიანს მტკიცე რწმენა უნდა ჰქონდეს“



ადამიანს უნდა ჰქონდეს მტკიცე რწმენა და განსაცდელის არ უნდა შეეშინდეს. ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II სამების ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

პატრიარქის თქმით, თუ ადამიანს აქვს მტკიცე რწმენა, ყველა განსაცდელი დასრულდება და მშვიდობა დაისადგურებს.

„საქართველო გაიხარებს, რადგან იგი ჭეშმარიტი ღმერთის თაყვანისმცემელია“– განაცხადა ილია II.

მან მრევლს კვირაცხოვლობის დღესასწაული ულოცა და აღნიშნა, რომ ეს არის უდიდესი დღესასწაული და უნდა შევთხოვოთ უფალს, რომ ქართველებს და მთელ მსოფლიოს მოწყალება არ მოაკლოს.

„დღეს ჩვენ ვხედავთ შუა ტაძარში აღმართულ ჯვარს, რომელიც შექმნილია მირიან მეფის, წმინდა ნინოს, დედოფალ ნანას და პირველი ეპისკოპოსის იოანეს მიერ. იგი მეოთხე საუკუნის ჯვარია“– ბრძანა პატრიარქმა და აღნიშნა, რომ ეს არის სასწაული და საქართველოს უდიდესი სიწმინდე.

პატრიარქმა განმარტა, რომ ეს ჯვარი გამოთლილია აქატის სასწაულმოქმედი მასალისგან, რომლითაც ცხოველები იკურნებოდნენ. ამ ხისგან იოანე ეპისკოპოსისი ლოცვა-კურთხევით სამი ჯვარი გაკეთდა.

„ერთი ეს არის, მეორე სვეტიცხველშია, მესამე კი – განადგურებულ იქნა. ჯვარი, რომელსაც ახლა ვხედავთ, თხოთის მთაზე იყო აღმართული. ეს ის ადგილია, სადაც მირიანს დაუღამდა თვალთაგან და შემდეგ ღმერთმა მას ჭეშმარიტი სარწმუნოება მისცა“-აღნიშნა პატრიარქმა და დასძინა, რომ თხოთის ჯვარს უდიდესი ძალა აქვს.

პატრიარქის ბრძანებით, ჯვარი მუზეუმში ინახებოდა, შემდეგ კი ეკლესიას გადასცეს, რათა ერს მის წინაშე ლოცვის საშუალება ჰქონოდა.

„მომავალი კვირა არის ჯვრების ამაღლების დრო. ეს ჯვარი სვეტიცხოველში იქნება გადატანილი, სადაც წირვას მეუფე იაკობი შეასრულებს. მძიმე დროა, მაგრამ ჩვენთან არს ღმერთი“ – ბრძანა პატრიარქმა.

ნიუსპრესი

## ახალგაზრდული ფრთა ლუკა კურტანიძეს შეხვდა

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის „ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები სპორტსმენ ლუკა კურტანიძეს შეხვდნენ.

როგორც „ნიუსპრესს“ პარტიიდან აცნობეს, შეხვედრაზე ლუკა კურტანიძემ სპორტში მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა.

სპორტსმენმა ახალგაზრდებთან, ასევე ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე, მათ შორის, სპორტის სფეროში არსებულ პრობლემებზე ისაუბრა. „სპორტულ ფორმას ვინარჩუნებ, როგორც კი ეს ხელისუფლება შეიცვლება და სპორტი პოლიტიზირებული არ იქნება, დამერწმუნეთ, როგორც პროფესიონალი მე აუცილებლად ვიტყვი ჩემ სიტყვას. მოვიპოვებ მსოფლიო ჩემპიონობას და ეს გამარჯვება ქართველთა ერთობას მიეძღვნება“– განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ტრამპის ბათუმში ყოფნისას „რედისონში“ კანალიზაცია გაფუჭდა

## რას გადაურჩა საქართველო

თეა მარხვაიძე

**ნაციონალური მოძრაობის მომხრეები დიდი გულისფრიალით ელოდნენ დონალდ ტრამპის ვიზიტს საქართველოში. რომელსაც, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ახალი ამერიკა აუშენებია.**

**ამ კაცს ახლა საქართველო უნდა ააშენებინონ. ჰოდა რა გასაკვირია, რომ მას დიდი ამბით დახვდნენ. ჩვენმა პრეზიდენტმა მას ბრწყინვალების ორდენი გადასცა.**



ამ მხრივ მიხეილ სააკაშვილი ძალიან გულუხვია. საქართველოში ჩამოსული არცერთი უცხოელი არ გაუშვია უკან გაუბრწყინებელი. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველებს ტრამპთან კინაღამ თავი მოგვეჭრა.

პოპულარული ინტერნეტპორტალ „პრესაგე.ტვ“-ს ინფორმაციით, დონალდ ტრამპის ბათუმური ვოიაჟის ფონზე აჭარის დედაქალაქში მდებარე სასტუმრო „რედისონში“ უსიამოვნო შემთხვევა მოხდა.

როგორც გაირკვა ამერიკელი მილიარდერის ვიზიტისას „რედისონ ბლუში“ მოიშალა ფეკალური მასების სატუმბი და აერწინაღიანი პირები ნიღბებით ასრულებდნენ ამ საქმეს. ამის შესახებ „პრესაგე.ტვ“-ს სულიკო ჟრენტის ქუჩის მოსახლოებამ აცნობა. უსიამოვნო ფაქტის თვითმხილველები სწორედ ადგილობრივები გახდნენ.

— სპეციალური საკანალიზაციო მანქანის მოყვანაზე კი არავინ იზრუნა და პარკებს პირდაპირ ეზოში ისროდნენ. ეს ყველაფერი ღამის 2 საათისთვის ხდებოდა. ძალიან ჩქარობდნენ, რადგან მაგენი ტრამპს და სააკაშვილს ელოდებოდნენ. დაცვის წევრებიც იყვნენ იქ. ყვირილი და ჩოჩქოლი ავტეხეთ. ნიღბებიანები იდგნენ გამსკდარი პარკებით და იდგა საშინელი სუნი. ხმაურზე გამოვიდა სასტუმროს თურქი მენეჯერი სახელად სიკრეტი და იყო დიდი ხმაური, — ყვება ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი ქალბატონი.

სულიკო ჟღენტის ქუჩა ბათუმში „რედისონ ბლუს“ უკანა მხარეს მდებარეობს. სასტუმროს უკან ჟღენტის ქუჩის №2-ში იტალური ეზოა, რომლის წინ „რედისონ ბლუს“ ადმინისტრაციამ ნაგვის კონტეინერები განათავსა.

— რედისონის ადმინისტრაციამ სანაგვე კონტეინერები დაგვიდგა პირდაპირ ეზოში — სასტუმროს უკანა მხარეს — აბა, წინ ხომ არ დავდგამთ, სააკაშვილი და მთავრობის ხალხი ხშირად მოდიოდა, — აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი, რომლის ვინაობასაც უსაფრთხოების მიზნით შეგნებულად არ ვასახელებთ.

„პრესაგე,ტვ“-ს ადგილობრივები უყვებიან, რომ 22 აპრილს, 02:00 წუთისთვის სასტუმრო „რედისონ ბლუდან“ გამოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც აირწინაღები ეკეთათ და ხელში პლასტიკატის უზარმაზარ პარკები ეკავათ.

ისინი გაეშურენ სახლის ეზოსკენ, სადაც დგას ნაგვის კონტეინერები და დაიწყეს ამ პარკების მოსროლა. მეზობლები დაინტერესდნენ და გავიდნენ ეზოში იმის გასარაკვევად რა ხდებოდა.

გადატანისას პლასტიკატის ერთ-ერთი პარკი გასკდა და აღმოჩნდა, რომ აირწინაღიან პირებს ფეკალური მასები გადაჰქონდათ.

— ჩვენ ხმაური რომ ავტეხეთ, გამოვიდა დაცვაც, სასტუმროს თურქი ადმინისტრატორი დაგვპირდა რომ პრობლემას მოაგვარებდა. თავიდან იფიქრეს რომ ადგილი მოერეცხათ, მაგრამ თურქმა ადმინისტრატორმა თქვა, რომ წყლის დასხმის შემთხვევაში სუნი უფრო გამძაფრდებოდა, ამიტომ მოიტანეს და ზედ ხრეში დაყარეს. ეს საქმე ვერ უშველის. სასწრაფოდ ჩასატარებელია სადეზინფექციო სამუშაოები. მართალია იმ დაცვის წევრებს, ვისაც ფეკალურ მასები პლასტიკატის პარკებით გადაჰქონდათ ამის გაკეთება უფროსობამ უბრძანა, მაგრამ მაგენსაც ხომ უნდა ეფიქრათ, რას აკეთებდნენ, — ამბობს „პრესაგე.ტვ“—ს რესპოდენტი.

მოკლედ მაგარი გადარჩენილები ვართ. ეს რომ ტრამპს გაეგო. „ტრამპ—თაუერს“ ნამდვილად აღარ აგვიშენებდა. იმედია სხვა დროს სხვანაირად მოიქცევიან. და თუ კიდევ ელირსათ ტრამპის მასპინძლობა. ჯერ კანალიზაციის სატუმბს მიხედავენ.

# ივანიშვილი ნაციონალების დეპუტატობის კანდიდატს აფინანსებს

## დედოფლისწყაროელი ნაციონალების ლიდერი ბიზნესმენისგან თვეში 1500 ლარს იღებს

თეა მარხვაიძე



წინა კვირაში ბიძინა ივანიშვილმა ბოდიში მოიხადა სააკაშვილის დაფინანსების გამო. მას არ დაუკონკრეტებია, მარტო სააკაშვილის დაფინანსების გამო იხდიდა ბოდიშს თუ მხედველობაში მთელი ნაცმოძი ჰყავდა. ბიზნესმენი ხომ მათაც გვარიანად აფინანსებდა. ახლა მისი ფულების რუსულ წარმომავლობაზე, რომ კივიან მაშინ კარგად იდებდნენ ჯიბეში. თქვე დალოცვილებო, თუ ეს ფული რუსული წარმოშობის იყო, ერთხელ მაინც რატომ არ დაგეწვათ ჯიბე. ან უკან რატომ არ დააბრუნა ვინმემ ეს ფული?

ამ დღეებში ერთი ძალიან საინტერესო ინფორმაცია გახდა ცნობილი. კვირის დასაწყისში გავიგეთ, რომ დედოფლისწყაროს მაჟორიტარად კენჭს ზაზა კედელაშვილი იყრიდა.

ეს ახალგაზრდა ადგილობრივი ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერია. ამის გარდა, კედელაშვილი ძიუდოში სამგზის ევროპის ჩემპიონია. ადგილობრივ მოსახლეობას ის ძალიან უყვარს. ნაცმოძმა სწორედ ამიტომ გააკეთა მასზე არჩევანი.

ჰოდა, ნაციონალების რჩეულს, თურმე ნაციონალების მიერ ქვეყნის მთავარ მტრად შერაცხული ბიძინა ივანიშვილი აფინანასებს. თანაც საკმაოდ კარგად. „ქართული ოცენბის“ ლიდერი ზაზა კედელაშვილს თვეში 1500 ლარს უხდის.

— ბიძინა ივანიშვილის მრჩევლის, კოალიცია „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრის ირაკლი ღარიბაშვილის მტკიცებით, სპორტსმენი, ევროპის სამგზის ჩემპიონი ძიუდოში ზაზა კედელაშვილი, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარ კანდიდატად განიხილავს, ფონდი „ქართუსგან“ ყოველთვიურ საქველმოქმედო დახმარებას ღებულობს — თვეში 1 500 ლარის ოდენობით.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, დედოფლისწყაროელი სპორტსმენი პოლიტიკური ამბიციების პარალელურად ივანიშვილის დახმარებას ამ დრომდე იღებს. კედელაშვილი ოლიგარქის ქველმოქმედებით ბოლო 5 წელია სარგებლობს, — იუწყება ინტერნეტგამოცემა „ქიზიყი“.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რატომ აფინანსებს ივანიშვილი ნაციონალების ერთ-ერთ ლიდერს. სხვა თუ არაფერი ის გვპირდება, რომ ერი ნაციონალებისგან უნდა გაათავისუფლოს.

— ჩვენი ფონდი ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით არასოდეს არჩევდა, ჩვენ მხოლოდ მათი მიღწევებისა და დამსახურების მიხედვით ვუნიშნავდით ყოველთვიურ დახმარებას. ჩვენგან უხერხულია პოლიტიკური ნიშნით ადამიანების გამორჩევა — ჩვენ ასეთი მენტალიტეტის ვართ, ასეთი მრწამსი გვაქვს და ყველა ჩვენი დახმარება აბსოლუტურად უანგარო იყო, არის და იქნება, — განუცხადა „ქიზიყს“ ღარიბაშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლის შემდეგ, საზოგადოებისთვის ბევრი საინტერესო ინფორმაცია გახდა ცნობილი. დიდი რეზონანსი გამოიწვია იმ დახმარებებმა, რომელსაც ივანიშვილი საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს უწევდა. სია საკმაოდ ვრცელი იყო. არც თანხები იყო მცირე.

გაირკვა, რომ ბიზნესმენი ეხმარებოდა სააკაშვილის მეუღლეს, გრიგოლ ვაშაძის მეუღლეს, გიგა ბოკერიას დედას, ნაციონალების თავგამოდებულ დამცველ გიორგი ასანიძეს და ა.შ. ამ სიაში ზაზა კედელაშვილი არ ფიგურირებდა.

ეს ახალგაზრდა კარგა ხანს გაუჩინარებული იყო. მისი გვარი ყურადღების ცენტრში 19 აპრილს მოექცა. როცა ნაცმოძის ლიდერები დედოფლისწყაროში ჩავიდნენ. სადაც ადგილობრივ ლიდერებთან დახურულ კარს მიღმა გამართეს შეხვედრა. როგორც გაირკვა, ამ შეხვედრას ზაზა კედელაშვილიც ესწრებოდა.

ის დედოფლისწყაროელი ნაციონალების ლიდერად 2006 წელს აირჩიეს. გამოცემა „ქიზიყის“ რედაქტორის ილია მარტყოფლიშვილის ცნობით, კედელაშვილი დიდი პოლიტიკური აქტიურობით არასდროს გამოირჩეოდა.

მას თურმე არც ბოლო პერიოდში უაქტიურრია. ამიტომაც ეპარება მარტყოფლიშვილს ეჭვი, რომ ნაცმოძი დეპუტატობის კანდიდატად მას დაასახელებს. ამბობს, რომ ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. თუმცა კედელაშვილის კანდიდატურა განიხილება.

ამ ინფორმაციის გავრცელებას ხელი ნაცმოძელთა ზემო ქედში წასვლამ შეუწყო. ზემო ქედი, დედოფლისწყაროს სოფელია. კედელაშვილი წარმოშობით სწორედ აქედან არის. ნაცმოძელი ლიდერები კი სოფლებში ასე უპრაგონოდ არ დაიარებიან.

კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი დედოფლისწყაროში ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატის ვინაობას არ აკონკრეტებს. საკითხის ირგვლივ პრეზიდენტის რწმუნებულმა კომენტარი ინტერნეტ-გამოცემა „ივერონთან“ საუბარში გააკეთა.

გუბერნატორის მტკიცებით, „ამჟამად „ნაციონალურ მოძრაობაში“ მაჟორიტარობის კანდიდატების განხილვა და შერჩევა არც დაწყებულა“.

რწმუნებული ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მმართველი გუნდის მაჟორიტარ კანდიდატებზე საუბარი ნაადრევია.

გიორგი ღვინიაშვილმა დედოფლისწყაროში ევროპის სამგზის ჩემპიონის ძიუდოში ზაზა კედელაშვილის შესაძლო კენჭისყრის გადაწყვეტილება არც უარყო და არც დაადასტურა.

— ამ თემაზე არ ვსაუბრობ, რადგან გადაწყვეტილება მიღებული არ არის, — აღნიშნა გიორგი ღვინიაშვილმა.

ამასთან, მან უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დედოფლისწყაროს საკრებულოში გამართულ დახურულ შეხვედრას ზაზა კედელაშვილიც ესწრებოდა.

— იმ დღეს მე ზაზა კედელაშვილი კახეთში საერთოდ არ მინახავს. საკრებულოში შეხვედრა სულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა, — აცხადებს კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული.

არჩევნებამდე რამდენიმე თვეა დარჩენილი. ამ დროის განმავლობაში მმართველი გუნდი სადეპუტატოდ ალბათ სათანადო კანდიდატურებს შეარჩევს. კულუარული ინფორმაციით, აქცენტი პოპულარულ ადამიანებზე უნდა გაკეთდეს.

ცნობილი და პოპულარული სახეების დიდ ნაწილს ივანიშვილი აფინანსებს. შესაბამისად გამორიცხული არაა, ნაცმოძის სხვა კანდიდატებიც აღმოჩნდნენ ივანიშვილის მიერ დაფინანსებული.

ბიზნესმენის მხარე ამბობს, რომ ისინი ადამიანებს არ ყოფენ თავისიანებად და სხვისიანებად. შესაბამისად, მას ვერ გაამტყუნებ ღვაწლმოსილი ადამიანების დაფინანსების გამო.

თავად ნაციონალებს რაც შეეხება, მათ წესით, უარი უნდა ეთქვათ ივანიშვილის ფულებზე. მათი მტკიცებით ხომ ივანიშვილის ფულს პუტინის სუნი ასდის.

თავის დროზე ფულების წარმომავლობა ბადრი პატარკაციშვილსაც დაუწუნეს. არად იყო დროს, მთელი ნაცმოძი მისგანაც კარგად იღებდა თანხებს. სოროსისი ფონდი გემახსოვრებათ ალბათ.

ეს ფონდი ვარდების რევოლუციის შემდეგ შეიქმნა. ამ ფონდიდან სახელმწიფო მოხელეებს დამატებით უხდიდნენ ხელფასს. ქრთამი, რომ არ აეღოთ. თავიდან ეს ყველას სოროსის საქმე ეგონა. მერე გაირკვა, რომ ამას ბადრი პატარკაციშვილი და ბიძინა ივანიშვილი აკეთებდნენ.

ცოტა ხნის წინ, კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა ის საქმეები, რაც ივანიშვილს აქვს ნაკეთები. საუბარია იმ საქმეებზე, რომელიც ხელისუფლებამ თავისად მონათლა. საინტერესოა რატომ არაფერს ამბობდა ის აქამდე ამ საქმეების შესახებ? ნაციონალების დუმილი გასაგებია, მაგრამ ივანიშვილის ცოტა უცნაურად გამოიყურება.

ასევე უცნაურია ის, რომ მის ახალ გუნდში ძირითადად ძველი ნაციონალები არიან. ეს „ქართული ოცნების“ დამფუძნებელ ყრილობაზეც გამოჩნდა. იქ ვარდების რევოლუციის ავტორები ლამის სრული შემადგენლობით იმყოფებოდნენ. მხოლოდ სააკაშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი და ბურჯანაძე აკლდნენ. ეს უკანასკნელი ოპოზიციაშია, დანარჩენები კი ისევ ხელისუფლებაში.

## ამომრჩეველთა სიების დამზუსტებელი კომისია სხდომას გამართავს

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია დღეს მორიგ სხდომას გამართავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომისიიდან აცნობეს, სხდომაზე პროექტ „კარდაკარის“ დაწყებასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება.

„კარდაკარის“ განხორციელება 24 აპრილიდან დაიწყება. როგორც კომისიაში აცხადებენ, სიების გადამოწმების პროცესს კომისიის წევრები ინტენსიურად დააკვირდებიან და რეგიონულ წარმომადგენლობებთან ერთად იმუშავებენ.

სხდომა კომისიის ცენტრალურ ოფისში 12:30 საათზეა დანიშნული.

ინტერპრესნიუსი

# ზაზა სოფრომაძე: ტრამპი ფინანსური მანიპულაციებითა და მაქინაციებითაა ცნობილი“



„დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრი ზაზა სოფრომაძე ბათუმში „ტრამპ თაუერის“ მშენებლობას აუცილებლად არ მიიჩნევს.

როგორც მან „ნიუსპრესთან“ საუბრისას განაცხადა, ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი ამერიკაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით სარგებლობს, რადგან ის ფინანსური მანიპულაციებითა და მაქინაციებითაა განთქმული.

მისი თქმით, ტრამპი აღნიშნული ცათამბჯენის მშენებლობის დროს ფინანსურ რისკს არ სწევს, რადგანაც ის საქართველოში ინვესტიციების ჩადებას არ აპირებს.

„ის უბრალოდ თავის ბრენდს ყიდის და შესაბამისად, ხარჯი ყველა ჩვენთაგანმა და ჩვენმა სახელმწიფომ უნდა გაიღოს. ბუნებრივია სახელმწიფოს ხარჯი ეს არის ყველა ჩვენგანის ჯიბიდან შეგროვებული გადასახადები“ – განაცხადა ზაზა სოფრომაძემ.

მისივე თქმით, თუ რამდენად მომგებიანი იქნება „ტრამპ თაუერის“ მშენებლობა საქართველოსთვის ძნელი სათქმელია რადგან, მსგავსი ტიპის ცათამბჯენების მშენებლობის აუცილებლობა ქვეყანაში ამ ეტაპზე არ არსებობს.

„ჯერჯერობით ტურისტების არც ისეთი ნაკადია, რომ უკვე არსებული სასტუმროები მათ არ ეყოთ. უმეტეს შემთხვევებში მსგავსი ტიპის სასტუმროები ჩვენი ე.წ ბომონდის თავშეყრის და უმაღლესი პირების გასართობ ადგილებად არის გადაქცეული“ – აღნიშნა სოფრომაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრი ასევე მიიჩნევს, რომ ეს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა არ არის.

მისივე განცხადებით, საეჭვოა ქვეყანაში მსგავსი ტიპის პროექტმა ახალი პროექტების დაგეგმვას და განვითარებას რაიმე სახის ბიძგი მისცეს, რადგანაც ინვესტიციების რაოდენობა საქართველოში ყოველწლიურად იკლებს.

„ტრამპ თაუერის“ მშენებლობა ბათუმის სანაპიროს განვითარების ახალი გეგმის ნაწილია. 47-სართულიან შენობაში ბიზნესცენტრი, სპა და ფიტნეს კლუბები, ლაუნჯბარები და საცხოვრებელი ბინები განთავსდება.

ნიუსპრესი

# ბიძინა ივანიშვილი: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაზე პასუხისმგებლობას ვიღებთ“

## „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ მანანა კობახიძე აირჩიეს



შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილის პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ შაბათს ოფიციალურად დაფუძნდა. მართალია, ახალი პოლიტიკური პარტიის ლიდერი თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება, მაგრამ სადამფუძნებლო ყრილობაზე გაირკვა, რომ „ქართულ ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ქალბატონი უხელმძღვანელებს. პარტიის თავმჯდომარედ ადვოკატი მანანა კობახიძე დაამტკიცეს. ამ ეტაპზე, ბიძინა ივანიშვილმა მიიჩნია, რომ მისი მეუღლისა თუ უფროსი ვაჟის პარტიის ხელმძღვანელად დასახელება საჭირო არ იყო. ბოლო მომენტში გადაწყდა, რომ ივანიშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენამდე პარტიას კობახიძე ედგება სათავეში.

ბიძინა ივანიშვილმა მანანა კობახიძის პარტიის თავმჯდომარედ დანიშვნასთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან კომენტარი ყრილობის დასრულების შემდეგ გააკეთა:

– დღეს ასე ჯობს, ასე ჩავთვალეთ საჭიროდ, ჩვენ საშუალება გვაქვს, არჩევანი გავაკეთოთ კარგსა და უკეთესს შორის.

ამ საკითხის გარკვევის შემდეგ, ივანიშვილისადმი „მტრულად“ განწყობილმა ჟურნალისტებმა დრო იხელთეს და რესპონდენტი უცნაური კითხვებით „დაბომბეს“.

**ჟურნალისტი:**

– ძალიან ბევრი შეკითხვა გაჩნდა ინტერნეტში და საზოგადოებაში თქვენს რწმენასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გვითხრათ ატარებთ, თუ არა მართლმადიდებლურ ჯვარს?

**ბიძინა ივანიშვილი:**

– თქვენ თვითონ ლოცულობთ, დადიხართ ეკლესიაში?

– რა თქმა უნდა.

– როდის იყავით ბოლოს სამებაში?

– კვირას.

– ყოველ კვირას იქ ვარ და როგორ ვერ მნახეთ?

– გააჩნია, თქვენ სად დადიხართ, ბატონო ბიძინა?

– სამებაზე გიპასუხეთ.

– მე სამებაში არ ვყოვილვარ, შეგიძლიათ ჯვარი გვაჩვენოთ?

– „მოსულა“, „მოსულა“.

– პოლიტიკა შოუა და არ გამიბრაზდეთ.

– გასაგებია, მაგრამ მე მინდა დღეს გაჩვენოთ არა იმიტომ, რომ ჯვარი მაქვს, არამედ დღეს პატრიარქთან ვიყავი და მან კარგი საჩუქარი გამიკეთა, იმასაც წარმოგიდგენთ.

– დიდი მადლობა.

– დაწყნარდით?

– კი.

– თუმცა არც თქვენგან იყო ეს შეკითხვა სწორი და არც ჩემგან – ჯვრის ჩვენება, მაგრამ მაინც არაუშავს. ბოდიში მოვიხადოთ ასეთი ქცევისთვის ორივემ...

ახალი პარტიის სადამფუძნებლო ყრილობას 1 109 დელეგატი და 150-მდე ჟურნალისტი დაესწრო. თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, დელეგატებმა პოლიტსაბჭო და სარევიზიო კომისიაც აირჩიეს. ყრილობის დელეგატებმა პოლიტიკური საბჭოს 11-კაციანი შემადგენლობა ხმათა დიდი უმრავლესობით დაამტკიცეს. პოლიტსაბჭოს წევრები არიან: თამაზ ავდალიანი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ივანე კიღურაძე, გუგული მაღრაძე, გურამ ოდიშარია, ირაკლი სესიაშვილი, სოზარ სუბარი, ელისო ჩაფიძე, ნოდარ ხადური, გელა ხვედელიძე და თედო ჯაფარიძე.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდნენ ივანე კიღურაძე, არჩილ კბილაშვილი, ახლად არჩეული თავმჯდომარე მანანა კობახიძე, თუმცა მთავარი გამომსვლელი მაინც ბიძინა ივანიშვილი გახლდათ, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, პარტიის ლიდერი იქნება და მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში იაქტიურებს. მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ ლიდერი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ხშირად ახსენებს მწყობრ გეგმას, რომელიც შემოდგომის არჩევნებამდე აქვს გაწერილი. ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ურჩიეს, არსებული ხელისუფლების კრიტიკის ნაცვლად, აქცენტი სამომავლო დაპირებებზე გაეკეთებინა, თუმცა, მან მიიჩნია, რომ პრობლემებს გვერდს ვერ აუვლიდა, სხვა გზა არ ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ახალი პარტიის დეკლარაციაშიც დღევანდელი ვითარების კრიტიკას საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა.

ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლების საგარეო და საშინაო პოლიტიკურმა კურსმა და სახელმწიფოს მართვის მის მიერ დამკვიდრებულმა მეთოდებმა, რეალური საფრთხე შეუქმნეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პერსპექტივას. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვითარებული პოზიტიური პროცესები, ცალკეული წარმატებული რეფორმები, ფასადურმა დემოკრატიამ და ავტორიტარიზმმა შეცვალა. უკეთესი მომავლის მოლოდინი საზოგადოების უდიდეს ნაწილს იმედგაცრუებად ექცა. მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დამძიმებისა და მოსახლეობის გაღატაკების შეუქცევადი პროცესი. მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ხელმიუწვდომელია ჯანდაცვა და განათლება. უსაფუძვლოდაა გაზრდილი კომუნალური და სახელმწიფო სააგენტოების მომსახურების გადასახდელები. შემაშფოთებელია უმუშევრობის, მოსახლეობის მიგრაციისა და დემოგრაფიული მაჩვენებლების ვარდნის მასშტაბები.

ივანიშვილის ტქმით, ნორმად იქცა საბიუჯეტო სახსრების, მათ შორის, საერთაშორისო დახმარების, განკარგვის გაუმჭვირვალობა და არამიზნობრივი გამოყენება. გამეფებულია ელიტარული კორუფცია, მონოპოლიზებულია ბიზნესი, კრიტიკულად იზრდება საგარეო ვალის მოცულობა. ყველა სფეროში ირღვევა ადამიანის უფლებები. ხელყოფილია უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა და თავისუფლება, მათ შორის პოლიტიკური ანგარიშსწორების მიზნით. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლის ერთპიროვნულ ნებასაა დამორჩილებული სასამართლო სისტემა და მედიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ივანიშვილი აღნიშნავს, რომ პოლიტიზებულია ჯარი, პოლიცია, პროკურატურა და მაკონტროლებელი ორგანოები. დამახინჯებული პრობაციისა და საპროცესო გარიგებების სისტემა გადაქცეულია ფულის ამოღებისა და ადამიანებზე ზეწოლის მექანიზმად. საზოგადოება ჩამოშორებულია ქვეყნის მართვის და ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალებებს. ხელოვნური ბარიერები ექმნება თავისუფალი მედიის და სამოქალაქო სექტორის საქმიანობას. სახელმწიფო სრულად აკონტროლებს სარეკლამო ბაზარს. ფეხქვეშაა გათელილი კონსტიტუცია. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით კონსტიტუციისა და კანონების ხშირი ცვლილებები ყოველგვარ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს სცილდება.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ვერც პრევენცია და ვერც მისთვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ადამიანური მსხვერპლი, მორალური და მატერიალური ზარალი, ტერიტორიების ოკუპაცია.

ხელისუფლებას არ გააჩნია კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის მწყობრი სტრატეგია. სახელისუფლებო პროპაგანდის ძალისხმევა მიმართულია ცრუ ინფორმაციის ტირაჟირებასა და ოპონენტების დისკრედიტაციაზე, რაზედაც ათეული მილიონობით საბიუჯეტო თანხები იხარჯება.

ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით ხელისუფლება ცდილობს გააძლიეროს ზეწოლა საკუთარ ხალხზე, შეინარჩუნოს და განამტკიცოს ავტორიტარული მართვის სისტემა.

შექმნილი რეალობა მეტყველებს მეგობარ სახლმწიფოთა რჩევებისა და მოწოდებების იგნორირებაზეც. ხელისუფლება იქცა დასავ-





ლეთისაგან მიღებული პოლიტიკური და მატერიალური დახმარების უპასუხისმგებლო მომხმარებლად.

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი მისი და მისი გუნდის ამოცანების შესახებაც საუბრობს.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ უახლოესი პერიოდის ამოცანად განიხილავს ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლას, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენის, ჩვენი შვილებისა და მომავალი თაობების უსაფრთხოების, თავისუფლების და კეთილდღეობის გარანტირების აუცილებელი პირობაა.

პარტიის იდეოლოგია ეფუძნება ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებებს, სოციალური სოლიდარობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

პარტია მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

პარტია ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ოპოზიციური ძალების ერთიანობის გამყარებას პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ფარგლებში და ინტენსიურად ითანამშრომლებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან, რომლებიც იზიარებენ კოალიციის სადამფუძნებლო დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ ხედვებს.

სახელმწიფო მართვის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებში. ამის გარანტიაა საარჩევნო გარემოს სამართლიანობა, ადგილობრივი თვითმმართველობის შექმნა, კონსტიტუციური რეფორმების პროცესში საერთო სახალხო რეფერენდუმის მექანიზმის გამოყენება, საგანგებო მნიშვნელობის კანონების მიღებაში ხალხის უფრო ფართოდ მონაწილეობის ახალი ფორმების დამკვიდრება.

ბიძინა ივანიშვილის მოსაზრებით, საზოგადოებრივი თანხმობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბალანსი ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის, სასამართლო ხელისუფლების რეალური დამოუკიდებლობა, მთავრობისა და არჩევითი ორგანოების ანგარიშვალდებულება ხალხის წინაშე, ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თავისუფალი მედიის მეშვეობით. მნიშვნელოვანია ქვეყნის მართვაში ოპოზიციური ელექტორატის წარმომადგენელთა აქტიური ჩართვა. ისინი უნდა წარმართავდნენ საბიუჯეტო შემოსავლების ხარჯვისა და სახელმწიფო ქონების განკარგვის მაკონტროლირებელ უწყებათა სააგენტოების საქმიანობას.

ივანიშვილის თქმით, აუცილებელია, რომ ხელისუფლების ყველა შტო, სახელმწიფო ბიუროკრატია ემსახუროს მთელი ხალხის და არა რომელიმე ცალკე აღებული პოლიტიკური ძალის ინტერესებს და განუხრელად დაიცვას ქვეყნის კონსტიტუცია. სახელისუფლო სტრუქტურებში დასაქმების კრიტერიუმებს უნდა წარმოადგენდეს ადამიანების პატიოსნება, ღირსება, პროფესიონალიზმი და არა პარტიული კუთვნილება. აუცილებელია, შეიქმნას სახელმწიფო მართვის ისეთი სისტემა, რომლის ამოსავალ წერტილად იქცევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. დემოკრატიული ინსტიტუტების სიმძლავრე ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. სახელმწიფოს სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარებისათვის საკმარისი არაა ადამიანის უფლებების დეკლარირება მხოლოდ სამართლებრივ აქტებში. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ამ უფლებების რეალიზაციის საკმარისი მექანიზმების შექმნა. დაუშვებელია, რომ მატერიალური შესაძლებლობის დეფიციტი გახდეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთლების, განათლების, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის მიზეზი.

ივანიშვილის თქმით, ადამიანის სამართლებრივ და სოციალურ დაცვაზე, ჯანმრთელობაზე, მის განათლებაზე მზრუნველი მართვის სისტემა უზრუნველყოფს მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთპასუხისმგებლობას. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა, სახელმწიფო ბიუჯეტი, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული უნდა იყოს ამ ამოცანის გადაწყვეტაზე.

ჯანდაცვის სფეროს მოწესრიგება სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია. საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საბაზისო სადაზღვევო პაკეტი და ეს პაკეტი უნდა იყოს უფრო ფართო, ვიდრე არსებული ხელისუფლება ჰპირდება ყოველ მეორეს. ომების შედეგად დაზარალებულ, დევნილ მოქალაქეებსა და დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა, მათთვის განსაკუთრებული შეღავათების დაწესება, წარმოადგენს არა სახელმწიფოს კეთილ ნებას, არამედ – ვალდებულებას. აუცილებელია, შემწეობის მიმღები ყველა კატეგორიის მოქალაქეებისათვის გამოყოფილი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და სახელმწიფო რესურსების მართვის კოორდინაცია. შეღავათებისა და სტიმულების დაწესებით უნდა წახალისდეს ადგილობრივი ბიზნესწრეების საქველმოქმედო საქმიანობა და ამ მიმართებით სახელმწიფოს ვალდებულებების გაზიარება.

ბიძინა ივანიშვილი:

– სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს უმუშევრობის დონის შემცირება, გადასხდელების გადამხდელთა რაოდენობის გაზრდა და შედეგად სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის გაფართოება. ქვეყნის ბიუჯეტი უნდა ძლიერდებოდეს გადასახდელების გადამხდელთა რაოდენობის და არა გადასახდელების მოცულობის ზრდის ხარჯზე. დაუშვებელია, საზოგადოების და სახელმწიფოს ურთიერთობები მიმდინარეობდეს მთხოვნელისა და მოწყალების გამცემის ურთიერთობის ფორმატში.

სოციალური სამართლიანობის მიღწევის მიზნით, ძირეულადაა შესაცვლელი საგადასახადო სისტემა. საწყისისათვის აუცილებელია დაწესდეს დაუბეგრავი მინიმუმი, რომელიც საარსებო მინიმუმს გაუტოლდება. ადამიანები, რომელთა შემოსავალი თვეში საარსებო მინიმუმის ტოლია, საერთოდ არ უნდა იბეგრებოდნენ საშემოსავლო გადასახდით, ხოლო ყველა დანარჩენს დასაბეგრი ბაზა უნდა შეუმცირდეს.

ეკონომიკური პოლიტიკა უნდა დაემკვიდროს ლიბერალურ საბაზრო პრინციპებს. ბიზნესის სფეროების დემონოპოლიზაციის გარეშე შეუძლებელია კონკურენტული გარემოს შექმნა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, სამუშაო ადგილების ზრდა და საშუალო სოციალური ფენის გაფართოება.ბიძინა ივანიშვილის თქმით, კერძო საკუთრება ხელშეუხებელია. დაუშვებელია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობდეს მის გადანაწილებას პოლიტიკური ნიშნით, პროპაგანდაზე აგებული ეკონომიკური პროგნოზითა და მცდარი ეკონომიკური სტიმულებით შეცდომაში შეჰყავდეს კერძო მესაკუთრე, ზღუდავდეს ან კრძალავდეს იმ მეწარმეთა საქმიანობას, რომლებსაც საბანკო ვალი აქვთ აღებული. სოფლის მეურნეობის განვითარება შესაძლებელია ამ სექტორში ინვესტი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# პარლამენტი გარემოს ზიანს აყენებს

გულიკო ბალაძე




გუშინ მწვანეთა პარტიის ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ პარლამენტის წინ აქცია გამართა. აქცია მიეძღვნა დედამიწის დღეს, სადაც მწვანეთა ორგანიზებით მისულმა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ გააპროტესტა ბოლო დროს ნაციონალური პარლამენტის მიერ გარემოსთვის ზიანის მომტანი კანონების მიღება..

გიორგი გაჩეჩილაძის თქმით, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე, რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს. ყველგან იმართება აქციები ბუნებისა და სიცოცხლის გადარჩენთვის.

– ბუნებისა და სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა საქართველოსთვის ბოლო ერთი თვის განმავლობაში მიღებული კანონების გამო. ფაქტობრივად, იმ კანონებით საქართველო გაიწირა ეკოციდისათვის. მოსახლეობაც ამას, ალბათ, როგორც გენოციდეს საფრთხეს, ისე აღიქვამს. ხელისუფლებამ სრულიად არანორმალური სიტუაცია შექმნა. არსად, დედამიწის ზურგზე არ მომხდარა ასეთი რამ, რომ კანონში ჩაეწეროთ, თუ ფულს გადაიხდი, შეიძლება მოწამლო ჰაერი, წყალი, გადაწვა ტყე და არავინ ამაზე პასუხს არ მოგთხოვს. ეს არის არანორმალური სიტუაცია, – აცხადებს გიორგი გაჩეჩილაძე.

– ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე და აუცილებლად მივაღწევთ შედეგს. ჩვენი თხოვნით დღეს ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში საქართველოს საელჩოების წინ გაიმართება მასშტაბური აქციები. ევროპელი მეგობრები ჩვენ გვიჭერენ მხარს. ამ ხალხმა, რომელსაც რატომღაც ხელისუფლებას ეძახიან, რეალურად გაგვწირა. კანონში შეიტანა ცვლილებები, რომლითაც, ფაქტობრივად, დააფიქსირა, რომ თუ ფულს გადაიხდი, თურქი იქნები, ოსი, არაბი თუ ჩინელი, აჰა, შენ ქვეყანა, აჰა, შენ ხალხი და რაც გინდა, ის უქენი, თუ გინდა, ცეცხლი წაუკიდე, მოწამლე, ტყე გაჭერი, გაანადგურე, გაიტანე და გაყიდე, რაც გინდა, ქენი, ოღონდ ფული გადამიხადეო. ეს პირდაპირ წერია კანონში (გაგიჟება შეიძლება). თუ ხელშეკრულებას დადებ და ფულს გადამიხდი, ეს რამდენი წელიც გინდა, აკეთე, ვერც ერთი მაკონტროლებელი ვერ შემოვა და ვერ შეგამოწმებსო. ესეც პირდაპირ კანონში წერია. ეს ნორმალურია? ასეთი რამ დედამიწის ზურგზე სადმე მომხდარა, საერთოდ? ასეთი რამ ვითომ ჩამორჩენილი აფრიკისა და აზიის ქვეყნებში მომხდარა? არ მომხდარა. ვაი, ჩვენი თავის ბრალი, რომ ამ ქვეყანას ავადმყოფები და ნარკომანები მართავენ, – განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

კითხვაზე, თუ რა ინტერესი აქვს ხელისუფლებას, როდესაც ბოლო პერიოდში უამრავ ქვეყნისთვის საზიანო კანონს ლებულობს, რატომ აკეთებენ ამას ნაციონალები, გიორგი გაჩეჩილაძემ გვიპასუხა:

– ფული, ფული! ასე წერია კანონებში, ფული მოგვეცით და რაც გინდათ, ის ჩაიდინეთო.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, ენერგეტიკის სამინისტროს შეუძლია შეთანხმება დადოს კერძო პირთან, რომლის თანახმადაც ამ პირს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი – გაჩეხოს ტყე, დაწვას, დააბინძუროს მდინარე, ან – ტბა, ქიმიური თუ რადიაციული ნარჩენებით და ა.შ, მაგრამ მას პასუხი არ მოეთხოვება. ისევე, როგორც რადიოაქტიური ნარჩენების შემოტანის საკითხი მათ დიდი ხანია აწუხებდათ იმიტომ, რომ ევროპაში ერთი ტონა რადიოაქტიური ნარჩენის გადამუშავება, გაუვნებელყოფა 50 ევრო ღირს, ხოლო საქართველოში ეს შეიძლება გააკეთო 30 ევროდ იმიტომ, რომ არავინ მოგთხოვს არც გაუვნებელყოფას, არც – დამარხვას და არც არავითარი ნორმის დაცვას. ძალიან მძიმე რეალობაა. საქართველოში არის ნამდვილი კოშმარი. ამიტომ ბრძოლაა საჭირო.

აქციაზე ლაშა ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ საქმე ეხება სამშობლოს განადგურებას. ფეხქვეშ მიწას გვაცლიან, ანუ ნაციონალურ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს მიწის საფარის გაყიდვა, რომლის 1 სმ ჩამოყალიბებას ასი წელი სჭირდება.

– ეს ასეული წლობით ჩამოყალიბებული მიწა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა აქამდე მოიტანეს და შეინახეს, არა მარტო ტერიტორია, არამედ ღვთისგან ბოძებული, ნაყოფიერი, მრავალფეროვანი, განსაკუთრებული მიწა. უნდათ, საქართველოს ტერიტორიიდან გაიტანონ მიწის საფარი თუნდაც ახლო აღმოსავლეთში, იქ, სადაც მიწის ნაკლებობაა, თუმცა, სხვა სიმდიდრე უბოძა, ნავთობის საბადოები., – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა, – ამიტომ ხელისუფლება არა მარტო უნდა შეიცვალოს, არამედ უნდა გასამართლდეს. ნიუნბერგის პროცესზე ერთ-ერთი ბრალდება იყო ეკოციდის შესახებ, რადგან მათ გაყიდეს ნიადაგი დასავლეთ უკრაინაში, რამაც გამოიწვია ადამიანების დახოცვა შიმშილით.

პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატებიც, ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე და წევრებიც იმყოფებოდნენ.

ფრაქცია, „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ხელისუფლება წლების განმავლობაში მწვანეთა პარტიას რეგისტრაციაში არ ატარებს. ამიტომ მათ არ ჰყავთ თავისი წარმომადგენელი პარლამენტში. თუმცა, ახლა მათმა ფრაქციამ მემორანდუმი გააფორმა მწვანეთა პარტიასთან და მათ ექნებათ ხმა პარლამენტში.

მისი თქმით, გარემოს დაცვა და ადამიანის უფლებები ერთმანეთთან არის გადახლართული.

რა მოტივაცია აქვთ ნაციონალ დეპუტატებს, როცა ქვეყნის საწინააღმდეგო კანონებს ღებულობენ, ამით საქართველოს ეკოციდისთვის წირავენ? დიმიტრი ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ნაციონალი დეპუტატები თავიანთ ქმედებას „ერთი გუნდის“ მოქმედებით ხსნიან.

– ბატონო დიმიტრი, „ნაციონალი“ დეპუტატები რას ასახელებენ ხოლმე მოტივად, როდესაც პარლამენტში ქვეყნისთვის დამღუპველი კანონები შემოაქვთ?

– ნაციონალები ამგვარი დამღუპველი კანონების მიღებას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ამართლებენ. ეს არის მათი ფორმალური შირმა. ნაციონალები ამბობენ, რომ ბაზრის სუბიექტად აქცევენ ყველაფერს, რის გაყიდვაც კი შეიძლება. ჯერ კიდევ 2004 წელს, როცა ბენდუქიძემ საქართველოს სივრცეში პირველად ფეხი შემოდგა და ეკონომიკის სამინისტრო ჩაიბარა, განაცხადა, რომ ისინი გაყიდდნენ ყველაფერს, რის გაყიდვაც შეიძლებოდა. გაყიდდნენ ყველაფერს, სინდისის გარდა. ცალკე მსჯელობის საგანია, როგორ გაყიდის სინდისს, რომელიც არ გააჩნია. ამაში ვეთანხმები, რომ სინდისს ისინი ვერ გაყიდიან, მაგრამ იმას, რასაც ყიდიან, გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის. აქ არ არის ლაპარაკი ბაზრის მიმოქცევისა და ობიექტების გაყიდვის აკრძალვაზე.

***– გარემოს დაცვის კუთხით კანონში შეტანილ ცვლილებებს, რომლითაც, მაგალითად, რადიოაქტიური ნივთიერებების რეექსპორტი სდა მრავალი სხვა მოქმედების განხორციელების უფლება იქნა დაშვებული, რით ამართლებენ?***

– ასეთი კანონის მიღებას გამართლება არ აქვს. გარემოს დაცვის კანონში შეტანილი ცვლილებებით პოტენციურ ინვესტორს, ანუ ხელშემკვრელ მხარეს, უფლება აქვს, წინასწარი კომპენსაციის გადახდის გზით, ნებისმიერი ხასიათისა და ნებისმიერი უარყოფითი შედეგის მქონე ზემოქმედებით ზიანი მიაყენოს ბუნებას და არ დაისაჯოს. როგორ წარმოგიდგენიათ, ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ინვესტორმა შეიძლება ცეცხლი გაუჩინოს ტყეს, დააფრქვიოს მომწამვლელი ნივთიერება, მოწამლოს ზღვა, მდინარეები და ამისთვის ის შეიძლება არ დაისაჯოს?

***– ანუ ნაციონალების გადაწყვეტილებები არანაირად არ ემსახურება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას?***

– არა. ეს სცილდება ყოველგვარ წარმოდგენას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების თაობაზე. ეს არის პირდაპირ მწვანე შუქის ანთება ფულის რეცხვისთვის და ისეთი ტიპის ინვესტიციების განხორციელებისთვის, რომელმაც, პირველ რიგში, ჩვენი ხელისუფლების ჯიბეებს უნდა მოუტანოს სიმდიდრე. ისინი, ფაქტობრივად, ისეთ კანონებს ამკვიდრებენ, რომლითაც საქართველოს არათუ მიმზიდველს ხდიან მსოფლიოს სხვადასხვა ფინანსური ცენტრებიდან ინვესტიციების მოსაზიდად, არამედ კრიმინალური ფულის მოზიდვას ემსახურებიან. პირი, რომელიც ამას პრიორიტეტად ჩათვლის და ამ ქვეყანაში კანონით ყველაფრის უფლებას ღებულობს, ის ბუნებით, ჩემი აზრით, კრიმინალი უნდა იყოს და არა ინვესტორი. ინვესტორი, რომელსაც დედამიწის ერთ-ერთ უმარგალიტეს ადგილზე უფლება ექნება ჩვენს მდინარეებს, ტყეებს, ჰაერს, ზღვას, ყველაფერს მიაყენოს ზიანი, მის მიმართ ყოველგვარი სანქციისა და სასჯელის გარეშე, ასეთი ადამიანი მე მიმაჩნია კრიმინალად.

***– რატომ ჩქარობენ ნაციონალი დეპუტატები ასეთი კანონების მიღებას?***

– ასეთი კანონების მიღებას ჩქარობენ იმიტომ, რომ ფულის გამთეთრებელი საინვესტიციო ჯგუფები ჰყავთ.

***– მოსწრებაზე არიან?***

– დიახ, მოსწრებაზე არიან. ნაციონალებმა ზუსტად იციან, რომ მათთვის 2012 წელი პოლიტიკაში ბოლო ბანაობის წელია. ამიტომ ცდილობენ, მაქსიმალურად მოასწრონ და რაც შეიძლება მეტი ფინანსები გადმოქაჩონ. იგივეს თქმა შეიძლება კომუნალურ გადასახადზე. ყოვლად წარმოუდგენელი და უპრეცედენტო რამ ხდება, როდესაც ნაგვის გადასახადი მიბმულია დენის გადასახადზე. ეს არის მსოფლიოში არნახული გადასახადი. იგივე ხდება 112-ის გადასახადთან დაკავშირებით, როდესაც 50 თეთრს ახდევინებენ კორპორატიულ აბონენტს, ჩვეულებრივს კი – 20 თეთრს. ესეც უპრეცედენტოა. ასეთი მოსაკრებელი არსად არ არის. ცდილობენ, დიდი ფულის მობილიზებას, რომელმაც, მათი აზრით, უნდა გადაარჩინოს არსებული ხელისუფლება მომავალ არჩევნებში.

***– თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლება კრიმინალური საქმიანობით არის დაკავებული.***

– ეს არის ვოლუნტარიზმი, საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების კანონზომიერების საწინააღმდეგოდ მიმართული პოლიტიკური სვლაგეზი. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში მსგავსი ტიპის რეგულაციები არ არის შემოღებული. იმდენად არიან საკუთარი ძალაუფლების ტყვეობაში, რომ მათ უკან დასახევი არ აქვთ. ნაციონალები კრიმინალური მიმართულებით სულ წინ და წინ მიიწევენ, ანუ უფრო მეტი ბონუსის მისაღებად საკუთარ კანონპროექტებს ქმნიან და თვითონვე აწერენ ხელს. ყოველივე ამის შემოქმედია იუსტიციის სამინისტრო. ენერგეტიკის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრები არაფერს წყვეტენ. ყველა სამინისტროსა და უწყებას და, საერთოდ, პოლიტბიურო (3-4 ადამიანი) მართავს.

***– თუმცა, შემოტანილ კანონპროექტებს კანონის ძალას დეპუტატები აძლევენ. ყველა დეპუტატი, რომელიც კრიმინალურ კანონს ხმას აძლევს, შესაბამისად, კრიმინალშია გარეული. ნაციონალებში ნორმალურად მოაზროვნე ნაწილი დეპუტატებისა არ არის და პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს?***

– ბუნების დაცვის კანონში ცვლილებები რომ შეჰქონდათ, როგორც საკომიტეტო მოსმენაზე, ისე პლენარულ სხდომაზე დავაფიქსირე პროტესტი. ეს იყო არგუმენტირებული, საერთაშორისო სამართალზე დამყარებული არგუმენტები. ჩვენ მოვიპოვეთ ყველა იმ დეპუტატის სია, რომელმაც თანხმობა განაცხადა ამ კანონის ამოქმედებაზე...

***– პასუხისმგებლობის არ ეშინიათ?***

– ადრე თუ გვიან, ისინი პასუხს აგებენ, პირველ რიგში, საკუთარი შვილებისა და ოჯახების წინაშე. ამ კანონზე მხარდაჭერით ნაციონალმა დეპუტატებმა, ფაქტობრივად, თავიანთი შვილების მომავალზე თქვეს უარი, როგორ აპირებენ საქართველოში ცხოვრებას.

***– იქნებ გარბიან?***

– იქნებ გარბიან, ან იქნებ მონური შიში გაუჩნდათ იმ ხელისუფლებისა, რომელიც ემუქრება, თუ ხმას არ მისცემ, დაგიჭერ, გაგიმწარებ ცხოვრებასო.

***– მიკროფონის გარეშე არ გიკითხავთ ნაციონალი დეპუტატებისთვის, რატომ აკეთებენ ამას?***

– მისაუბრია და მათი პასუხი არის ძალიან მოკლე. ნაციონალი დეპუტატები ამბობენ, რომ ეს ერთი გუნდია და გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპს ატარებენ შთამომავლობის წინაშე.

***– სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში მიჰყვებიან?***

– დიახ, ისინი სააკაშვილს პოლიტიკურ საფლავში მიჰყვებიან.

# ბიძინა ივანიშვილი: ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაზე პასუხისმგებლობას ვიღებთ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ციების მოზიდვით, მათ შორის მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო რესურსების გამოყენებით.

ივანიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი წარმოების გაფართოება სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს როგორც კერძო ფერმერული მეურნეობების განვითარებას, ასევე გლეხური მოეურნეობების კოოპერირებას. საგანგებო ყურადღებასა და მხარდაჭერას საჭიროებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წინადადება, რომელიც გულისხმობს მოტივირებული და ორგანიზებული მეურნეებისათვის საეკლესიო მიწების უსასყიდლოდ გადაცემას. სახელმწიფოსა და მოსახლეობის ერთობლივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა. ჩვენი მომავალი თაობების წინაშე ჩადენილი დანაშაულია მოკლევადიანი ეკონომიკური სარგებელის ფასად ეკოლოგიური ზიანის მომტანი კანონების მიღება. ამასთანავე, სწორედ ეკოლოგიური რესურსი და ბუნების მრავალფეროვნება წარმოადგენს მთელი რიგი შემოსავლიანი დარგების განვითარების და ხალხის ფიზიკური სიჯანსაღის ბაზისს.

ეროვნული ისტორიული ფასეულობებისა და კულტურული მემკვიდრების, ისევე როგორც ხელოვნებისა და სახელმწიფო ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა საერთო მსოფლიო ოჯახში საქართველოს იდენტობის დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდეს.

სახელმწიფოს სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანებს ასევე განეკუთვნება საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის ზრუნვა, მათი თანასწორუფლებიანობის გარანტირება.

ივანიშვილის თქმით, განათლების სისტემა ორიენტირებული უნდა იყოს მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაზე, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა საერთო სახელმწიფო სისტემაში ინტეგრირებასა და საერთაშორისო დონის სპეციალისტები მომზადებაზე. ძირეულადაა შესაცვლელი სახელმძღვანელოების პოლიტიკა. ბოლო უნდა მოეღოს განათლების სფეროს პოლიტიზაციას და პოლიციური მეთოდებით ადმინისტრირებას. ასაღორძინებელია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალი, რომლის დეფიციტს განიცდის როგორც ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგი, ასევე სოციალური და კულტურული სფეროები. ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად უნდა იქცეს. ამის განხორციელება შეუძლებელია კამპანიური, პროპანდისტული ხასიათის ღონისძიებებით. სახელმწიფოს განვითარების პროგრამის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად უნდა იქცეს საზოგადოების ფართო ფენებისათვის სპორტის ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო სისტემაში მისი ფართოდ დაბრუნება.

ბიძინა ივანიშვილი აღნიშნავს, რომ აუცილებელია კრიმინალთან და დანაშაულობებთან ბრძოლის გამკაცრება. უსაფრთხო გარემო ქვეყნის განვითარებისათვის გადამწვეტ ფაქტორს წარმოადგენს. ამასთანავე, ყოვლად დაუშვებელია ეს ხორციელდებოდეს საზოგადოებრივი კონტროლის მიღმა დარჩენილი, სრულიად პოლიტიზირებული და სადამსჯელო ოპერაციებზე ორიენტირებული სტრუქტურების მიერ. საქართველოს საზოგადოება საჭიროებს მისი ინტერესების დამცველ პოლიციელს. დემოკრატიული ქვეყანის სტანდარტი მოითხოვს რესოციალიზაციაზე ორიენტირებულ და არა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელ და ღირსების შემლახავ სასჯელაღსრულების სისტემას.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– საგარეო ურთიერთობების ორიენტირები მიმართული უნდა იყოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება და ურთიერთობების ნორმალიზაცია რუსეთთან. საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის საიმედო და პროგნოზირებად პარტნიორად უნდა იქცეს.

საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა შესთავაზოს ტერიტორიული პრობლემების მშვიდობიანად მოგვარების მწყობრი, მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე ორიენტირებული სტრატეგია.

ქვეყნის უსაფრთხო არსებობას უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრული ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის ქვაკუთხედიც არსებული სამხედრო საფრთხეების ადეკვატური შეიარაღებული ძალებია.

საჭიროა სამხედრო ძალების განვითარება ეფუძნებოდეს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს. სამოქალაქო-დემოკრატიული კონტროლიდან გამოსული ეროვნული უსაფრთხოების სიტემა და მისი მმართველობა, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს სტაბილურ გარემოში განვითარების შესაძლებლობას.

პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ მზადაა, პასუხისმგებლობა აიღოს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანაზე, მოქალაქეების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, შიდაეროვნული თანხმობის მიღწევასა და დამკვიდრებაზე, რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში საქართველოსათვის ღირსეული პარტნიორის ფუნქციის დაბრუნებაზე.

# ირაკლი ალასანია: სააკაშვილი წარსულს ჩაბარდა“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერ ირაკლი ალასანიასთან

დღეს ქვეყანას პრეზიდენტი არ ჰყავს, სააკაშვილი პრეზიდენტის ფუნქცია დიდი ხანია აღარ ასრულებს.

სააკაშვილი დღეს, ფაქტობრივად, ბიზნესკურიერის როლშია და საკუთარი ბიზნესგარიგებებით არის დაკავებული. ეს გუშინ მისი და ამერიკელი მილიარდერი სტუმრის ლექსიკას და ბოლო დროს 1 ლარად თავის ნათესავებზე გაყიდულ სახელმწიფო ქონებასაც ეტყობა.

ჩამოსული ამერიკელი მილიარდერი სტუმარი სააკაშვილს მიმართავს არა როგორც პრეზიდენტს, არამედ პარტნიორად მოიხსენიებს.

კაცმა რომ თქვას, გარანტიის გარეშე ფულს ამ ჩვენს უწესრიგო ქვეყანაში ვინ ჩადებს? გარანტია კი სააკაშვილის ბიზნესპარტნიორობაა. ანუ აშკარაა, რომ ქვეყნის მართვის სათავეებიდან მიმავალი სააკაშვილი ფულის დაგროვებითაა დაკავებული და მომავალი საქმიანობისთვის გზას იკვალავს.

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ სააკაშვილი არის წარსულის პოლიტიკოსი. მან საქართველოს 10-მილიარდიანი ვალი დაუტოვა, ტერიტორიები დაკარგა და ქვეყანას დევნილები შემატა.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, პოლიტიკური ოპონენტების მისამართით გაკეთებული სააკაშვილის შეურაცხმყოფელი განცხადებები იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანას, რეალურად, პრეზიდენტი არ ჰყავს. „სააკაშვილს არ უყვარს თავისი ხალხი. ის მოქალაქეებს ჰყოფს თავისიანებად და მოწინააღმდეგეებად, ხოლო მოქალაქეების მიმართ ზიზღს ავლენს“.

***— ბატონო ირაკლი, არც ისე დიდი ხანია, რაც კოალიცია „ქართული ოცნება“ შეიქმნა და ერთობლივი ბრძოლა წამოიწყეთ ბიძინა ივანიშვილთან ერთად. რას მიაღწია კოალიციამ შექმნიდან დღემდე?***

— ბატონმა ბიძინამ პოლიტიკაში მოსვლით, პრაქტიკულად, ძირფესვიანად შეცვალა ქართული პოლიტიკური რეალობა. „ქართული ოცნების“ კოალიციის ლიდერობით მან მოახერხა, გაეერთიანებინა პოლიტიკური ძალები, გაეაქტიურებინა სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობისთვის ჩაესახა იმედი იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს საქართველოში კონკურენტული არჩევნები შეიძლება ჩატარდეს და მოქალაქეების ნება დაცული იყოს. ამის იმედი გააჩინა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით. გარდა ამისა, ჩვენ დავიწყეთ დამკვირვებლების მომზადება, შემდეგ მათი განაწილება.



რეგიონებსა და მთელ საქართველოში ვაფუძნებთ „ქართული ოცნების“ ოფისებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი საზოგადოება არჩევნების გაყალბებას სერიოზულად აღუდგება წინ. ასევე მოვახერხეთ საერთაშორისო დამკვირვებლების მოწვევა არჩევნებამდე 6 თვით ადრე. ისინი უახლოეს პერიოდში ჩამოვლენ. სააკაშვილი იძულებული გახდა, არჩევნებამდე 6 თვით ადრე ფორმალური მოწვევა გაეგზავნა დამკვირვებლებისთვის. ჩვენ მთლიანად შევქმენით რეალური სურათი საქართველოს შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

***— ანუ რეალობა როგორია?***

— რეალობა, რომელიც შეიქმნა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ, ასეთია: მსოფლიოს უნდა, საქართველოს გვერდით დაუდგეს, დაეხმაროს კონკურენტული არჩევნების ჩატარებაში და „ქართულ ოცნებაში“ ხედავს ხელისუფლების ალტერნატივას. აქედან გამომდინარე, მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა მომართულია, რომ საქართველოს დემოკრატიული ღირებულების ზეიმი მოხდეს სწორედ ამ არჩევნებში ობიექტური, სამართლიანი შედეგის მიღწევით.

***— თვითონ სააკაშვილზე, როგორც პოლიტიკოსზე, რას რას ფიქრობთ?***

— სააკაშვილი არის წარსულის პოლიტიკოსი. ბიძინა ივანიშვილი იყო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბიზნესმენი, წარმატებული მეცენატი, ხოლო დღეს არის პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც საქართველო მიჰყავს მომავლისკენ. ჩვენი კოალიცია — „თავისუფალი დემოკრატები“ და სხვა პარტიები სწორედ ამ ამოცანით ვართ გაერთიანებული. ჩვენ გვინდა ხიდი მომავალთან და არა ხიდი წარსულთან; გვინდა გამოცდილება, რომელიც ქვეყანამ დააგროვა მრავალი ათასი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით კი ბოლო 20-წლიან პერიოდში, გამოვიყენოთ და ავაშენოთ მომავლის საქართველო. სააკაშვილს უნდა, საქართველო იყოს მხოლოდ მისი. ბიძინა ივანიშვილს სურს საქართველო მოქალაქეების იყოს. ეს არის საქართველოს შესახებ ჩვენს ხედვებში ფუნდამენტური განსხვავება.

***— როგორ ხვდებით სააკაშვილის ათასგვარ შეურაცხმყოფელ განცხადებებს, როდესაც ის თავის პოლიტიკურ ოპონენტებს ათასნაირი შეურაცხმყოფელი სიტყვებით ამკობს — მუმიებს და რას არ ეძახის? თქვენ სააკაშვილს კარგად იცნობთ, რატომ იქცევა სააკაშვილი ასე?***

— ვფიქრობ, „ქართული ოცნების“ ლიდერებმა სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ, როცა არ ვპასუხობთ სააკაშვილს ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვებითვე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ქვეყანას რეალურად პრეზიდენტი არ ჰყავს. ქვეყანას დღეს ჰყავს დე ფაქტო ხელმძღვანელი, რომელსაც არ უყვარს თავისი ხალხი, არ უყვარს თავისი მოქალაქეები, მოქალაქეებს ყოფს თავისიანებად და სხვისიანებად, თავისი მოქალაქეების მიმართ ზიზღს ავლენს. ეს მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილის სიცუდეზე მეტყველებს.

***— იქნებ სააკაშვილი დარწმუნდა, რომ ბრძოლა წაგებული აქვს და ამიტომ გადადის შეურაცხმყოფელ განცხადებებზე.***

— ბუნებრივია, ასეთი ისტერიკა ემართება ადამიანს განსაკუთრებული შიშის მდგომარეობაში. სააკაშვილმა დაინახა, რომ ბიძინა ივანიშვილისა და ჩვენი კოალიციის სახით, მათ გამოჩნდათ კონკურენტი, რომელიც დაამარცხებს. ამიტომაც მშიშარა კაცი ყოველთვის გადადის ლანძღვა-გინებასა და ძალადობაზე, მაგრამ ძალადობის სისტემა, რომელიც სააკაშვილმა შექმნა, უკვე ირღევა. სააკაშვილის ძალადობის სისტემა იმიტომ ირყევა, რომ ადამიანები, ჩვენი მოქალაქეები, მზად არიან მხარი დაუჭირონ ჩვენს ბრძოლას.

***— ბატონო ირაკლი, თქვენ გააკეთეთ მნიშვნელოვანი განცხადება საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების ელჩებთან სამეგრელოში შეიარაღებული ჯგუფების შექმნის შესახებ. ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა..***

— დიახ. ეს პრევენციული განცხადება იყო. შეიარაღებული ჯგუფების არსებობა სააკაშვილმა აღიარა, მაგრამ განაცხადა, რეზერვს ვაკეთებო.

***— სააკაშვილმა ასევე განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტრო ყველა სოფელში შევიდა. თქვენ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობის გარკვეული გამოცდილება გაქვთ, რას ნიშნავს თავდაცვის სამინისტროს სოფლებში შესვლა? როგორ შეიძლება თავდაცვის სამინისტრო ყველა სოფელში შევიდეს? თუ საჭიროა, სამხედრო საკითხებში მოსახლეობის უფრო მეტად გარკვევა, ხომ არ სჯობდა სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლების შემოღება?***

— ეს არის სააკაშვილის აბსოლუტურად რეორგანიზებული და იმპულსური გადაწყვეტილება, რასაც არანაირი კავშირი არ აქვს ქვეყნის თავდაცვასთან და რეალური რეზერვის ჩამოყალიბებასთან.

***— რეზერვის შესახებ კანონში წერია, რომ ყველა მოქალაქეს აქვს სურვილი, სარეზერვო მომზადება გაიაროს. მაშ, რაღა საჭიროა ნებაყოფლობითი რეზერვი როცა პირი ისედაც ვალდებულია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეზერვში იმსახუროს?***

— ეს არის კიდევ ერთი მილიტარიზებული რიტორიკა, რომელიც მოდის სააკაშვილის მხრიდან. მას უნდა, ისევ გააძლიეროს მტრის ხატი, რითაც სურს მისი სისუსტეები, ასე ვთქვათ, მისი შეცდომები გადაფაროს სხვა მტრის ხატის გამოჩენით. ეს არის ხრიკი, რომელსაც უკვე ქართველი საზოგადოება აღარ მიიღებს.

***— სააკაშვილს უნდა, თავის შემდეგ ქართველ საზოგადოებას მტრული გარემო დაუტოვოს?***

— დიახ, ქართველი საზოგადოება სააკაშვილს შეაფასებს არა იმით, რასაც ლაპარაკობს, არამედ იმით, რაც გააკეთა. მან ვერ შექმნა ეკონომიკა, რომელიც რეალურად სამუშაო ადგილებს ქმნის. სააკაშვილმა გაანადგურა სოფლის მეურნეობა და გლეხი დატოვა გალატაკებული. მან დაკარგა კოდორი, დაკარგა ახალგორი და ლიახვის ხეობის სოფლები და ათიათასობით დევნილი დაუმატა ასიათასობით დევნილს. მხოლოდ გზა კეთდება, რომელიც რეალურად ჩვენი ფულით იგება, რაც არ არის საკმარისი სააკაშვილის რვაწლიანი მმართველობა პოზიტიურად ჩავთვალოთ. მან გაზარდა ქვეყნის ვალი 10 მილიარდამდე, რომელიც ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების გადასახდელია, ანუ რაც კი სააკაშილმა დადებითი დაიწყო, ყველაფერს ხაზი გადაუსვა — ქვეყანა შეიყვანა პოლიტიკურ ჩიხში. რაც მთავარია, ქვეყანაში ჩამოაყალიბა ავტორიტარული, ძალადობრივი რეჟიმი. ჩვენ ამ ძალადობრივ რეჟიმს დავუსვამთ წერტილს ოქტომბრის არჩევნებში

***— სააკაშვილი, ფაქტობრივად, 17 წელია ხელისუფლებაშია. რატომ ვერ თმობს ძალაუფლებას?***

— იმიტომ, რომ საზოგადოება გამოვა ერთ მუშტად შეკრული და ვერდიქტს გამოუტანს ოქტომბრის არჩევნებში.

---

## ნანა კაკაბაძე ლაშა თორდიას მიკერძოებულობაში ადანაშაულებს



ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ლაშა თორდიას არაპროფესიონალიზმსა და მიკერძოებულობაში ადანაშაულებს.

ნანა კაკაბაძის თქმით, ლაშა თორდიას განცახდება, რომ მან საკუთარი თვალით დაინახა 26 მაისის ღამეს, თუ როგორ დაეჯახა ბადრი ბიწაძის მანქანა ორ პოლიციელს, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაა.

კაკაბაძის განცხადებით, ლაშა თორდია არა მხოლოდ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, არამედ სახელმწიფო მოხელეცაა და მსგავსი განცხადების გაკეთების უფლება არ ჰქონდა.

„ის არ არის რიგითი მოქალაქე, რომელსაც შეუძლია მსგავსი რამ თქვას. ანუ როგორც სახელმწიფო მოხელემ, მან დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია, ამავდროულად ის არის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე“— გაუცხადა „ნიუსპრესს“ კაკაბაძემ.

მისივე თქმით, თორდიას მხრიდან მსგავსი განცხადება ნიშნავს იმას, რომ მას ძალინ სუსტად აქვს გაცნობიერებული საკუთარი როლი და ფუნქცია იმ თანამდებობაზე, რომელზეც იმყოფება. კაკაბაძე მიიჩნევს, რომ უფლებათა დამცველის ფუნქციაა დაიცვას ადამიანები ხელისუფლებისაგან და არა პირიქით.

კაკაბაძის განმარტებით, მაშინ, როცა სასამართლოს ჯერ არ დაუდასტურებია მართლაც ჰქონდა თუ არა მსგავს ფაქტს ადგილი და ადამიანის უფლებათა დამცველი უკვე განცხადებებს აკეთებს, ეს მის არაპროფესიონალიზმზე ან აშკარა მიკერძოებულობაზე მეტყველებს.

„როგორც ვიცი, თვით ექსპერტიზის დასკვნა არსებობს, რომ აღნიშნულ პოლიციელებს იმ დღეს არ დაჯახებიან, ამაზე უნდა ჩატარდეს გამოძიება და დადგინდეს რა მოხდა რეალურად, რადგან ეს ძალინ ბუნდოვანებით მოცული ფაქტია“— აღნიშნა კაკაბაძემ და დასძინა, რომ თორდიას ნაადრევი, ნაჩქარევი და დაუზუსტებელი განცახდება ხელყოფს იმ ადამიანის უფლებებს, რომელიც ციხეში შესაძლოა, უდანაშაულოდაც იმყოფება.

„რა თქმა უნდა, მისთვის, როგორც ადამინის უფლებათა დამცველისგან, ეს ორმაგი შეცდომა და დანაშაულია“— აღნიშნა კაკაბაძემ.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ 2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით განაცხდა, რომ მან საკუთარი თვალით დაინახა თუ როგორ დაეჯახა აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის ბადრი ბიწაძის მანქანა ორ პოლიციელს. ამავე დროს სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, ავტომანქანის პოლიციელებთან შეჯახების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. **ნიუსპრესი**

---

## ნიკა გილაური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს შეხვდა

აშშ-ში ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელს კრისტიან ლეგარს შეხვდა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრაზე ითქვა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში გატარებული რეფორმების სხვა ქვეყნებისთვის მაგალითად გამოყენებას აპირებს.

როგორც შეხვედრაზე აღნიშნეს, საქართველოსა და ფონდის ურთიერთობა ახალ საფეხურზეა ასული, რომელიც განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ითვალისწინებს.

,,განსაკუთრებით ხაზი გავუსვით ბიუჯეტის დეფიციტს. ასევე, საუბარი იყო დაბალ ვალზე, რაც საქართველოს გააჩნია. მაღალ ეკონომიკურ ზრდაზე, დაბალ ინფლაციაზე და ჯანსაღ საბანკო სექტორზე. ამ პარამეტრების მიხედვით საერთაშორისო სავალუტო ფონდი თვლის, რომ საქართველო ერთ-ერთი ჯანსაღი ქვეყანაა მსოფლიოში“, — განაცხადა ნიკა გილაურმა.



კრისტიან ლეგარის თქმით, მისთვის დიდი პატივია პრემიერ გილაურთან შეხვედრა და საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და საქართველოს ძალიან კარგი პარტნიორობა აკავშირებთ.

,,უპირველესად, ვისაუბრეთ საქართველოს ეკონომიკისა და ბოლოდროინდელი წარმატებების შესახებ. მინდა ვთქვა, რომ თქვენი ქვეყანა სწორ პოლიტიკას ატარებს და სწორი მიმართულებით ვითარდება“, — აღნიშნა ლეგარმა. **მედიანიუსი**

---

## ჯონ ბასი: ტრამპის სახელით ქვეყანაში გრანდიოზული პროექტი ხორციელდება“



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ჯონ ბასი დონალდ ტრამპის საქართველოში სტუმრობას დადებითად აფასებს და აცხადებს, რომ ასეთი რანგის ბიზნესმენის საქართველოში ჩამოსვლა ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მისი თქმით, როდესაც ასეთი მნიშვნელობის და სახელის მქონე ადამიანი, რომელიც წარმოადგენს ბიზნესის, ხელისუფლების ან მეცნიერების რომელიმე სფეროს, სტუმრობს საქართველოს და ხედავს იმ შესაძლებლობებს, რომელიც არის ამ ქვეყანაში, ეს ყოველთვის მნიშვნელოვანია.

,,როდესაც ასეთი ადამიანი გადაწყვეტს, მისცეს თავისი სახელის გამოყენების უფლება, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება და ეს ყოველთვის დადებითია“, — განაცხადა ელჩმა.

მისი თქმით, ის, რომ ტრამპის სახელით ქვეყანაში გრანდიოზული პროექტი ხორციელდება, საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინვესტორების ინტერესს კიდევ უფრო გაზრდის.

ჯონ ბასმა ეს განცხადება ბულაჩაურში გააკეთა, სადაც ელჩმა, მოსწავლეებთან და მოსახლეობასთან ერთად, დედამიწის დღის აღსანიშნად გამწვანების აქციაში მიიღო მონაწილეობა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეები დარგო.

**მედიანიუსი**

## ყავა ოფისში მომუშავე ადამიანების მხედველობას იცავს

როგორც აღმოჩნდა, კომპიუტერთან მუშაობის ნეგატიური გავლენის შემცირება ყავის დახმარებით შეიძლება.

აღნიშნული სასმელი ხელს უწყობს ცრემლის გამოყოფის პროცესს, რაც მშრალი თვალის სინდრომის წარმოქმნის შესაძლებლობას ამცირებს.

აღნიშნულ დასკვნამდე ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის მკვლევარები მივიდნენ, რომლებმაც დაკვირვება 78 მოხალისეზე ჩაატარეს.

საცდელი ადამიანების ნაწილი, იძულებულნი გახდა ერთი კვირის განმავლობაში უარი ეთქვა ყავაზე.

აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანების თვალები, რომლებიც ყავას იღებდნენ, გაცილებით ტენიანი იყო.

მეცნიერების აზრით, კოფეინი თვალის ჯირკვლების სტიმულაციას ახდენს.

,,იმ შემთხვევაში თუ ჩვენი მუშაობის შედეგები სხვა კვლევებშიც დადასტურდება, მაშინ ის შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს მშრალი თვალის სინდრომის სამკურნალოდ, „— აღნიშნა კვლევის ხელმძღვანელმა რეიკო არიტამ.

სპეციალისტების თქმით, აღნიშნული სინდრომის სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში ადამიანმა ოფთალმოლოგს უნდა მიაკითხოს, რათა თავიდან აიცილოს სერიოზული გართულებები. **მედიანიუსი**

თამარ ნინიძე

# ხელისუფლება ქართულ სოფელს კარგავს

**ინტერვიუ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრ გურამ ჩახვაძესთან**

***– ეროვნულ-დემოკრატები რეგიონებში იმყოფებოდით. როგორია თქვენი ზოგადი შთაბეჭდილებები მოსახლეობასთან შეხვედრებიდან გამომდინარე?***

– ეროვნულ-დემოკრატები მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს პრესის, ტელევიზიის ზოგადად მედიის როლის დაკნინებას ამომრჩეველთან ურთიერთობაში, მაგრამ დამეთანხმებით, სხვა ემოციურ და ფსიქოლოგიურ დატვირთვას იძენს პოლიტიკოსის საქმიანობა, როცა ის უშუალოდ ხვდება ადამიანებს და ამ დროს არა მარტო მის სათქმელს ამბობს, არამედ, რაც მთავარია, ისმენს მათ მოსაზრებებს. ამ შეხვედრებისას ჩვენს ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა, მოსახლეობისთვის გაგვეცნო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოზიცია, კერძოდ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არის არსებული ხელისუფლების ოპოზიცია, მაგრამ იმავდროულად ჩვენთვის პოლიტიკურად მიუღებელია ბიძინა ივანიშვილის ქართული ოცნება. ამდენად, ეროვნულ -დემოკრატები ვართ ამ ორი პოლიტიკური ძალისგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. ამ შეხვედრებმა დაგვანახა, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს არ უჭერს არც ნაციონალური მოძრაობას და არც ქართული ოცნებას, რაც სავსებით ნორმალურია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის. პოლიტიკური გემოვნების მრავალფეროვნება, როცა პიროვნება თვითონ და არა სხვისი ბრძანებით აკეთებს თავის პოლიტიკურ არჩევანს არის სამოქალაქო საზოგადოების საფუძველი, რომლის გაკაფვითაც იმუქრება ბატონი ივანიშვილი. ასევე ჩვენი სურვილი იყო გვესაუბრა მოსახლეობასთან მათთვის საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებზე. ერთი სიტყვით, ასეთი შეხვედრები ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საშუალებას აძლევს უფრო მიზანმიმართული, მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული გახადოს თავისი საქმიანობა. ანალოგიური სურვილი დავინახეთ მოქალაქეების მხრიდანაც, უფრო კონკრეტულად საზოგადოებაში არსებობს ინტერესი ეროვნულ-დემოკრატებთან შეხვედრის და ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმულია.

***– ადრე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თქვენ ისაუბრეთ ედპ-ს პოლიტიკაზე დასაქმებასთან დაკავშირებით. როგორია თქვენი პარტიის პროგრამა სოფლებში მოსახლეობის დასაქმების თაობაზე?***

– ეროვნულ-დემოკრატების პრინციპული პოზიციაა ვისაუბროთ არა მარტო პრობლემებზე, არამედ მათი დაძლევის გზებზე. პრობლემები მოსახლეობისთვის ისედაც ცნობილია, რადგან ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი ამ პრობლემებთან უშუალოდ შეხებაში არიან და ხელისუფლების უუნარო პოლიტიკის გამო ვერ უმკლავდებიან მათ, ამიტომ სავსებით ბუნებრივია,



გურამ ჩახვაძე

როცა ადამიანი ელის პასუხს კითხვაზე, თუ როგორ აპირებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უმუშევრობის პრობლემის მოგვარებას, სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდებისთვის განათლებაზე ხელმისაწვდომობას, ჯანდაცვის სისტემის ორგანიზებას ისე, რომ ადამიანს არ მოუხდეს მკურნალობისთვის ვალების აღება და სახლის გაყიდვა, პენსიონერებისთვის ღირსეული სიბერის უზრუნველყოფას, დენისა და სხვა კომუნალური გადასახადების ისეთი ოდენობით დაწესებას, რომ რიგითი ქართული ოჯახის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად არ დააწვეს და ა. შ... ახლა რაც შეეხება დასაქმებას. ორიგინალური ვერ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ უმუშევრობის წამალი ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და არსებულის შენარჩუნებაა. მაგრამ უთანხმოება ედპ-სა და ნაციონალებს შორის იწყება მაშინ, როცა ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ აღნიშნულს. მაშინ, როცა მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და შრომისუნარიანი მოქალაქეების ასევე ნახევარი სოფლადაა დასაქმებული საკუთარ ოჯახურ მეურნეობებში, ამ დარგის წილი მთლიანად ეკონომიკაში ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით ძალიან მოკრძალებული 9%-ია. კიდევ უფრო საგანგაშოა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავლების წილის მაჩვენებელი ოჯახების მთლიან ფულად შემოსავლებში – 7%. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, რისი საშიშროებაც რეალურად არსებობს, ჩვენ დავკარგავთ ქართულ სოფელს, არა მარტო ეკონომიკის კუთხით, არამედ როგორც ჩვენი ეროვნული იდენტურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენს. ამიტომ აქ რადიკალური ჩარევაა საჭირო და ამ შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი. ეროვნულ- დემოკრატები სრულად ვიზიარებთ პატრიარქის შეშფოთებას ქართულ სოფელთან დაკავშირებით და ასევე ვეთანხმებით მისი უწმინდესობის, ილია II სააღდგომო ეპისტოლეში გამოთქმულ მოსაზრებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აუცილებელია სპეციალური კანონის მიღება გლეხური მეურნეობების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ და ახალ პარლამენტში ეროვნულ- დემოკრატები სწორედ ასეთი კანონის მიღების ინიციატივით გამოვალთ და შესაბამის კანონპროექტსაც შევიტანთ.

***– ის თითო-ოროლა ტრაქტორი, რომელსაც დღეს სააკაშვილის ხელისუფლება სოფლებში არიგებს, საკმარისია თუ არა მეურნეობის განვითარებისთვის?***

– მექანიზაცია აუცილებელია თანამედროვე სოფლის მეურნეობისთვის, მაგრამ არასაკმარისი, რადგან გარდა მექანიზაციისა, სოფლის მეურნეობას ესაჭიროება ახალი ტექნოლოგიები, ხელმისაწვდომი კრედიტები, სახელმწიფო სუბსიდიები და სხვა. თქვენ მიერ ნახსენები სახელმწიფო პროგრამა მისაღებია, მაგრამ გეთანხმებით, რომ არ არის საკმარისი, როგორც რაოდენობრივი, ასევე ფინანსური ხელმისაწვდომობის კუთხით. ეს არის საბიუჯეტო პროგრამა და მას აკლია მნიშვნელოვანი კომპონენტი, კერძოდ ის რომ გლეხის ტრაქტორით მომსახურების ხარჯი სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე. ეროვნულ დემოკრატები ქართულ საზოგადოებას ვთავაზობთ სოფლის მეურნეობის განვითარების შემდეგ გზას. ოფიციალური სტატისტიკით სოფლის მეურნეობაში მოწეული პროდუქციის 90%-ზე მეტი მოდის ოჯახურ მეურნეობებზე და ამდენად სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი სამიზნე ისინი უნდა გახდნენ. პირველ რიგში ოჯახურ მეურნეობებს სახელმწიფო მისცემს გლეხური მეურნეობების სპეციალური სტატუსს, რაც მათ საშუალებას მისცემთ ისარგებლონ სახელმწოფოს დახმარებითა და შეღავათებით. ქვეყანაში უნდა დაარსდეს სახელმწიფო აგრარული ბანკი, რომელიც გასცემს გრძელვადიან და იაფ სესხებს მხოლოდ სოფლის მეურნეობისთვის და ოჯახური მეურნეობები ამ სესხებს სახელმწიფო გარანტიით მიიღებენ. სურსათზე ფასების ზრდის შესაკავებლად და იმპორტირებული პროდუქციის მიმართ ადგილობრივის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ქართულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე სახელმწიფო გასცემს საბიუჯეტო სუბსიდიებს. სტიქიური უბედურებების გამო მოსავლის განადგურების დროს გლეხური მეურნეობები მატერიალური ზარალისაგან დაცულნი იქნებიან აგრო დაზღვევით, სადაც სახელმწიფო იქნება სადაზღვევო შენატანების მნიშვნელოვანი თანამონაწილე. ასევე სახელმწიფომ ეკონომიკური სტიმულებით უნდა წაახალისოს წვრილი გლეხური მეურნეობების კოოპერირების პროცესი, დაწყებული მიწის დამუშავებითა თუ მეცხოველეობის ერთობლივი წარმოებით, დამთავრებული მიღებული პროდუქციის შენახვითა თუ რეალიზაციით. როცა სახელმწიფო ეხმარება გლეხს, მაშინ მას აქვს სამართლიანი უფლება მოითხოვოს მისგან თავისი წილი მოვალეობის შესრულება.

***– როგორ ფიქრობთ დასაქმების თვალსაზრისით სოფლად მოხახლეობა პრიორიტეტულად რომელ პროფესიებს ირჩევს?***

– ეროვნულ-დემოკრატებისთვის თანამედროვე სოფელი თავის თავში გულისხმობს როგორც გლეხურ მეურნეობებს, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ საწარმოებს, რომელთაც სჭირდებათ როგორც სოფლის მეურნეობის გაძღოლისთვის პროფესიულად მომზადებული ადამიანები ასევე წარმოების ნორმალურად ფუნქციონირებისათვის კვალიფიციური პერსონალი. ასევე თანამედროვე სოფელი წარმოუდგენელია როგორც აგრო მომსახურების ცენტრების, ვეტერინარის და სხვა სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის, მაგალითად, საირიგაციო სისტემების ასევე სოციალური ინფრასტრუქტურის, რაშიც ვგულისხმობ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, კულტურის ცენტრებს, სამედიცინო დაწესებულებებს გარეშე. ყველა ეს და სხვა სოფლისთვის აუცილებელი მიმართულება მოითხოვს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანებს და თუ რა რაოდენობის და რა პროფესიის ადამიანები იქნებიან საჭირო ამა თუ იმ სოფლისთვის ამას შრომის ბაზარი განსაზღვრავს. ხელისუფლების მოვალეობაა ამისთვის შექმნას სათანადო საკანონმდებლო და სტრუქტურული გარემო. დღევანდელი ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს და შედეგიც სახეზეა.

***– ცნობილი ფაქტია, რომ დიდი ქალაქების მცხოვრებლებს მეტი საშუალება აქვთ, დამოუკიდებლად იპოვონ სამსახური. სოფლად ეს პროცესი უფრო რთულად მიმდინარეობს. როგორია დღეს დასაქმებულთა საშუალო ხელფასი სოფლად და თქვენს პროგრამაში ასახულია თუ არა ეს საკითხი?***

– დღეს ეკონომიკის დიდი ნაწილი ქალაქებშია თავმოყრილი და მათ შორის ძირითადად თბილისში, რაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკის თანაბრად განვითარების საშუალებას არ იძლევა და ეს პირდაპირ აისახება ჩვენი ოჯახების ცხოვრების დონეზე, რაც ცალკე პრობლემაა. ამის შედეგია რეგიონებიდან მიგრაცია და სოფლების დაცლა ახალგაზრდობისაგან რაც ასევე ცუდი ტენდენციაა, ქართული სოფლის შენარჩუნების თვალსაზრისით. თუ დასაქმებას დავუბრუნდებით ვნახავთ, რომ ქალაქში სამსახურის იოლი შოვნა ხშირად ილუზიაა, რადგან მაგალითად, თბილისში უმუშევრობის მაჩვენებელი ორჯერ მეტია, ვიდრე ზოგადად ქვეყანაში და ის 30% აჭარბებს, რაც საგანგაშო მაჩვენებელია. ამიტომაა საჭირო სახელმწიფო პოლიტიკაში შემოვიდეს დასაქმების გეოგრაფიული განზომილება, რაც დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს, იგივე შრომის ბირჟის რეგიონალმა ფილიალებმა უნდა უზრუნველყონ. დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს შექმნის იდეას დიდი ხანია აყენებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის ძირითადი მოვალეობა იქნება უმუშევრად მყოფი მოქალაქეების რეგისტრაცია მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უმუშევრობის პერიოდში მათთვის შემწეობების გაცემა და ახალი სამუშაო ადგილების მოძიება. გარდა ამისა, დასაქმების სახელმწიფო სააგენტო უფასოდ უზრუნველყოფს უმუშევრების პროფესიულ მომზადებასა და

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კოკა გუნცაძე: ამომრჩეველთა ზუსტ რაოდენობას აუცილებლად დავადგენთ!“

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ ამომრჩეველთა ლიგის“ ხელმძღვანელ კოკა გუნცაძესთან:**

**„ამომრჩეველთა ლიგა“ ახალი, შეიძლება ითქვას, უპრეცედენტო იდეით გამოდის. ისინი ამბობენ, რომ არჩევნების დღეს საარჩევნო უბანზე მიმდინარე მოვლენებს ინტერნეტის მეშვეობით აჩვენებენ საზოგადოებას.**

***– ბატონო კოკა, თქვენ განაცხადეთ, რომ ალტერნატიულ კარდაკარს ჩაატარებთ. რატომ?***

– ჩვენ არ ვენდობით ამომრჩეველთა სიების დამდგენ სახელმწიფო კომისიას. ვგეგმავთ, სახსრები მოვიზიდოთ იმისთვის, რომ ჩვენი ინფრასტრუქტურით და არ არის გამორიცხული, სხვა ორგანიზაციების დახმარებით (თუ ამის საჭიროება იქნება), გადავამოწმოთ ამომრჩეველთა სიები. ჩვენ ძალიან მძლავრი ინფრასტრუქტურა გვექნება, რომ განვახორციელოთ სიების დაზუსტება. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რომელსაც ჩვენი მოძრაობა გააკეთებს.

***– როგორც ვიცი, არჩევნების დღეს ლაივგადაღებას და ჩვენებას აპირებთ, კონკრეტულად რომ გვითხრათ?***

– დიახ, ჩვენ ვემზადებით არჩევნების დღისთვის. არჩევნების დღეს კომუნიკაციის უპრეცედენტო, მასშტაბური პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. კონკრეტულად ჩვენ გვსურს, თითქმის ყველა საარჩევნო უბანი ხელმისაწვდომი იყოს ყველა ამომრჩევლისთვის.

***– რას გულისხმობთ?***

– ლაივგადაღების საშუალებით, სხვადასხვა შესაბამის ვებგვერდებზე შესაძლებელი იქნება, პირდაპირი თვალყურის მიდევნება, ყურება იმაზე, თუ რა ხდება საარჩევნო უბანზე.

***– აპრობირებული არის?***

– საქართველოში არა.

***– საკანონმდებლო წინააღმდეგობა ხომ არ გექნებათ. რამდენად არის ეს დასაშვები კანონით?***

– გადაღება არ არის აკრძალული. რაც აკრძალული არ არის ის დაშვებულია. ჩვენ შეიძლება სხვადასხვა საშუალებებით ეს გავაკეთოთ. თუ პრაქტიკული, უკანონო წინააღმდეგობა შეგვხვდა, რაც გამორიცხული არ არის ამ ხელისუფლების პირობებში, მაგრამ ამასაც შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. ყველას, ჩვენს ხალხს, საზოგადოებას, ცალკეულ ადამიანებს აქვთ უფლება, რომ თვალი მიადევნოს და პირდაპირ უცქიროს მთელი საარჩევნო დღის განმავლობაში საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას. თუ რას აკეთებს ხელისუფლება საარჩევნო უბანზე. ეს არის კომუნიკაციის ძალიან მასშტაბური პროექტი, რომელიც ჩვენი პოლიტიკური სინამდვილისთვის უპრეცედენტოა, რის განხორციელებასაც ჩვენ ვგეგმავთ.

***– თანხებს, რომელიც საჭირო იქნება ამ პროექტის განსახორციელებლად, საიდან მოიზიდავთ?***

– კომუნიკაციის პროექტის განსახორციელებლად ძალიან ბევრი ადამიანი, საქართველოს მოქალაქე არის მზად, რომ თავისი შემოწირულობა გააკეთოს. მზად არის, თავისი წვლილი შეიტანოს თავისუფალ და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრეცედენტის შექმნის საქმეში. იმ საქმეში, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს ქვეყანაში ოქტომბერში, რომ ჩვენ მოქალაქეებმა ჩვენი ხმები დავიცვათ, რომ ხალხის არჩევანი, არჩევნების შედეგებზე აისახოს. ხალხს ცვლილებები სურს, ხალხს სურს, რომ ეს ამ არჩევნებში გაკეთდეს მშვიდობიანი და პოლიტიკური გზით. ჩვენი ბევრი მოქალაქე მზად არის, რომ ამისთვის თავისი კონტრიბუცია განახორციელოს.

***– ბატონო კოკა, რაც შეეხება ფონდს, მას რა დანიშნულება აქვს?***

– ჩვენ ინიციატივით გამოვედით, რომ ფონდი შეგვექმნა. ამ ფონდს კარგი ადამიანები გამოეხმაურნენ. ეს არის პოლიტიკურ რეპრესირებულ მსხვერპლთა ფონდი. ამ ფონდს ძალიან ღირსეული ადამიანები ქმნიან. ისინი გამოეხმაურნენ ჩვენს ინიციატივას და მივესალმებით. ეს ადამიანები არსებობენ და ძალიან მალე მათი ვინაობა ცნობილი გახდება. ჩვენ უბრალოდ მადლობა გადავუხადოთ და მივესალმოთ მათ გამოხმაურებას.



კოკა გუნცაძე

***– რას ელოდებით ამ არჩევნებისგან?***

– ჩვენ ამ არჩევნებზე ველოდებით პირველი, შიშის გატეხას. როდესაც თავისუფალი ადამიანი შევა საარჩევნო კაბინაში და თავისუფლად, თავისი რწმენის მიხედვით გააკეთებს არჩევანს და არა იძულებით. ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას, რომ მეტნაკლებად წამოვიდეს ამ პირობებზე. ჩვენ ყველა ლეგიტიმურ საშუალებას გამოვიყენებთ ამისთვის, რომ ადამიანი საკუთარ არჩევანში თავისუფალი იყოს. უპირველეს ყოვლისა ამ არჩევნებისგან სასიკეთო ცვლილებებს ველით, რომ ქვეყანაში ძალადობა დამთავრდება, უსამართლობა დამთავრდება, სიცრუე დამთავრდება. დასრულდება პარანოიამდე მისული პროპაგანდა.

***– რამდენად ადვილი იქნება ეს?***

– ცხადია, ადვილი არაფერი არ არის.

***– კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილი?***

– მე არ მინდა პოლიტიკური შეფასებები გავაკეთო ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე. ჩვენ სხვა ფუნქციები და სხვა ამოცანები გვაქვს. ამ ეტაპზე მე არ ვარ პარტიულ პოლიტიკაში ჩართული. არჩევნებში კენჭს არ ვიყრი, ეს არ არის ჩემი ამოცანა ახლა. ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა მძლავრი საზოგადოებრივი მოძრაობაა, რომელსაც ეყოლება თავის სტრუქტურებია და ორგანიზაციები საქართველოს რეგიონებში.

***– ლევან გაჩეჩილაძე რამდენად არის მთელ ამ პროცესში ჩართული, თუ ის კადრს მიღმაა?***

– კადრს მიღმა ყოფნა არ ნიშნავს პასიურად ყოფნას. ის, რომ ის ხშირად საჯაროდ არ ჩნდება, არ ნიშნავს, რომ ის პასიურია და აქტიურად არ არის ჩართული.

***– რატომ არის უკანა პლანზე? თუ ეს მისი არჩევანია?***

– ეს მისი არჩევანია. ამ ეტაპზე ეს მისი გადაწყვეტილება და სურვილია. ამ პროცესში ლევანს არა მხოლოდ საჯარო აქტიურობით, არამედ სხვანაირად შეუძლია წვლილი შეიტანოს. როდესაც ის საჭიროდ ჩათვლის, სხვა გადაწყვეტილებას მიიღებს და საჯაროდ გამოჩნდება, როგორც მაგალითად 2 აპრილს.

# ჟანრი ლოლაშვილი 70 წლისაა

ეკა ირემაშვილი

**რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი გამორჩეული მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი იუბილარია. მას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. როგორც მსახიობმა „ახალ თაობას“ განუცხადა, 70 წელი არც ისე ბევრია და საკუთარი დაბადების დღის აღნიშვნა მეგობრებთან ერთად უყვარს.**

კინოსა და თეატრის მსახიობი ნამდვილად არ გამოირჩევა მრავალი როლეს შესრულებით, თუმცა თითოეული მათგანი იმდენად თვითმყოფადი, ორიგინალური და ჟანრი ლოლაშვილისეული ხელწერით არის განსახიერებული, რომ მათი დავიწყება მაყურებელს ყოველთვის უჭირს.

იუბილარი მსახიობი თბილისში დაიბადა. მისმა პოეტმა დედამ, დუშა სანიკიძემ სამი ბიჭი გააჩინა და მათ მართლაც პოეტური და გამორჩეული სახელები – ჟანრი, ჯანრი და ანრი დაარქვა. ამის გამო, მსახიობი ხშირად ხუმრობს, რა თემაზეც გინდათ ვისაუბროთ, მხოლოდ ის არ მკითხოთ, დედამ ძმებს ანრი, ჟანრი და ჯანრი რატომ დაგვარქვაო. მომავალმა მსახიობმა სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მხატვარ-მულტიპლიკატორად დაიწყო. მოგვიანებით სწავლა გააგრძელა მოსკოვის უმაღლეს კურსებზე მხატვარ-მულტიპლიკაციის ფაკულტეტზე. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მსახიობი ზუგდიდის თეატრში წავიდა სამუშაოდ, სადაც მხოლოდ ერთი წელი იმუშავა. უკვე 45 წელია ჟანრი ლოლაშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობია. მის მიერ რუსთაველის თეატრში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია – მწერალი – „ყვარყვარეში“, მერკუციო – „რომეო და ჯულიეტაში“, მთხრობელი „კავკასიურ ცარცის წრეში“, ავშაროვი – „ქალის ტვირთში“, მასხარა – „ლირში“, ლუარსაბი – „კაცია ადამიანი“. იუბილარი მსახიობი გადაღებულია 25-მდე ფილმში. მისი კინოდებიუტი შედგა ფლმში „ნუცა“, რომელსაც მოჰყვა ფილმები „ერთი ნახვით შეყვარება“, „მოხეტიალე რაინდები“, „ქალაქი ანარა“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „გზა შინისაკენ“, „რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, „ქართველები ცაში“, „ბაგრატიონი“, „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, „ამხანაგ სტალინის მოგზაურობა აფრიკაში“, „სიბრძნე სიცრუისა“, „ნათლისღება“, „სამი სახლი“. ჟანრი ლოლაშვილმა მონაწილეობა მიიღო ქართულ ტელესერიალში „ცხელი ძაღლი“, სადაც ბიძინა თაბაგარის როლი შეასრულა და მაყურებელი თავისი ნიჭიერებით კიდევ ერთხელ გააოცა. მსახიობის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი ქართულ კინოში არის ფილმი „დარჩი ჩემთან“, რომელიც მელოდრამაა და მისი რეჟისორი ზაზა ურუშაძეა.



უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, ჟანრი ლოლაშვილის მეუღლე მსახიობი თათული დოლიძეა. მათ ერთმანეთი რუსთაველის თეატრში გაიცნეს. იუბილარი მსახიობი არ მალავს, რომ თათულის დანახვაზე დარეტიანდა და მომავალი მეუღლე ძალიან მოეწონა. მათ პირველად ერთად გენიალურ „კავკასიურ ცარცის წრეში“ ითამაშეს, შემდეგ კი ილია ჭავჭავაძის ლუარსაბი და დარეჯანი გააცოცხლეს. წყვილს ერთი ვაჟი ჰყავს.

რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის გარდა, ცნობილია, რომ ჟანრი ლოლაშვილი არაჩვეულებრივად ხატავს, წერს ლექსებს და პიესებს. მას კოლეგები „უკიდეგანოდ განათლებულს“ ეძახიან. იუბილარმა მსახიობმა თავისი კულინარიული ნიჭითაც გააკვირვა საქართველო და მეუღლესთან ერთად „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში სხვადასხვა კერძებს ამზადებს.

საქართველოს დამსახურებული არტისტისთვის და სახალხო არტისტისთვის ყველაზე გამორჩეული და ძვირფასი საჩუქარი კარგი წიგნი და კარგი სუნამოა. როგორც იუბილარმა მსახიობმა განაცხადა, მისთვის ასაკი ბევრს არაფერს ნიშნავს და 70 წლის მიუხედავად „ხან დაზმულია, ხან – არა“.

**ჟანრი ლოლაშვილი, იუბილარი მსახიობი:**

– ვის უყვარს იუბილეები?! ამიტომ არც მე მიყვარს. მოდით, ასე გეტყვით, ხან დაზმული ვარ, ხან – არა.

***– დაბადების დღისთვის განსაკუთრებული საჩუქარი გაქვთ?***

– ორი ცალი გამორჩეული საჩუქარი მაქვს – კარგი წიგნი და კარგი სუნამო.

***– წიგნი ქართველი შემოქმედის იქნება თუ უცხოელის, აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?***

– კარგი წიგნი ყველასი კარგია – ქართველისაც და უცხოელისაც. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ დაწერა?

***– ვინ გილოცავთ პირველად დაბადების დღეს?***

– როგორც წესი, მეუღლე მილოცავს ხოლმე. თუმცა, ისეც ხდება, რომ სხვები ასწრებენ. ხანაც ჭიქის ძმაკაცები მილოცავენ.

***– წელსაც მოვიდნენ ჭიქის ძმაკაცები?***

– რა თქმა უნდა. სახლში არ ვიხდი ხოლმე დაბადების დღეს, გავდივართ სადმე და ვქეიფობთ.

**ზაზა ურუშაძე, რეჟისორი:**

– მე და ბატონი ჟანრი ძალიან ახლობლები ვართ და არა მგონია, სუბიექტური ვიყო. მასთან ძალიან ახლოს ვარ, ამდენი წელიწადია ერთად ვმუშაობთ. „ცხელი ძაღლის“ დროს 5 წელი ერთად ვმუშაობდით, მერე „სამი სახლი“ გადავიღე, მერე ფილმში „დარჩი ჩემთან“ ითამაშა ჩემთან, ამიტომ უახლოესი მეგობრები ვართ.

***– როგორია ბატონი ჟანრი, როგორც მსახიობი?***

– გარდა იმისა, რომ უნიჭიერესი მსახიობია, აქვს ძალიან მაღალი ინტელექტი და ჩანს კიდეც გადაღებების დროს, რაც მსახიობისთვის უმნიშვნელოვანესია. ძალიან განათლებული ადამიანია. ერთი სიამოვნებაა მასთან ურთიერთობა. არ ვიცი, ადამიანი, ჟანრისთან ჰქონოდეს ურთიერთობა და არ იყოს აღფრთოვანებული და ნასიამოვნები მასთან გატარებული დროით.

***– ბევრია 70 წელი?***

– არა მგონია, რომ 70 წელი ბევრი იყოს. მრავალმხრივ ნიჭიერი კაცია, როგორი კულინარია, უკვე მთელმა საქართველომ იცის. და როგორი მხატვარია? ეს ცალკე სასაუბრო თემაა. ყველაზე მეტად ის მაგიჟებს, რომ არაჩვეულებრივი ადამიანია, რაც ყველაზე მთავარია ამ ცხოვრებაში. საინტერესო პიროვნებაა, როგორიც უნდა იყოს ადამიანი, ამიტომ გამორჩეულად მიყვარს. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ ცხოვრებაში და კიდევ ბევრ მაგარ როლს.

***– კიდევ ათამაშებთ მას თქვენს ფილმებში?***

– რა თქმა უნდა. ჩემს ფილმებში ჟანრის ყოველთვის ვათამაშებ, იმიტომ, რომ ამშვენებს ფილმს. სულ თამაშობს ჩემს ფილმებში, თან უყვარს ჩემთან მუშაობა და ეს მეც მსიამოვნებს.

***– გაქვთ პროექტი, სადაც დაავებთ მას?***

– კი, მაქვს ფილმის მონახაზი, სადაც ჟანრი ერთ-ერთ მთავარ როლს ითამაშებს. ჟანრი თილისმასავით მყავს და მასთან ერთად მინდა არაერთ ფილმზე ვიმუშავო.

**ნანული სარაჯიშვილი, მსახიობი:**

– ჟანრი ძალიან მიყვარს. ის ძალიან კარგი, ძალიან საინტერესო, ძალიან ნიჭიერი, ძალიან პროფესიონალი, ძალიან კარგი მეგობარი და ძალიან ახლობელია ჩემი. ის ჩემთვის ყველანაირად დადებითი პიროვნებაა. ბედნიერი ვარ, რომ მე და ჟანრიმ მთელი შემოქმედებითი ცხოვრება გავატარეთ რუსთაველის თეატრში.

***– როგორი პარტნიორია ჟანრი ლოლაშვილი?***

– ძალიან კარგი. ჩვენ 40 წელია რუსთაველის თეატრში ერთად ვმუშაობთ. მოვიარეთ მსოფლიო მთელი თავისი გასტროლებით, მთელი თავისი წარმატებებით, ერთად გავიარეთ ყველაფერი. მიხარია, რომ ასე კარგად და მხნედ არის. ჯერ ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს. 70 წელი ნამდვილად არ არის ბევრი, მჯერა, მას კიდევ ბევრი და ბევრი წარმატება ელოდება წინ. უნიკალური კულინარია, არაჩვეულებრივი მხატვარია, ყველანაირად საინტერესო კაცია. სულით და გულით ვულოცავ, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს ვუსურვებ.

**ჯემალ ღაღანიძე, მსახიობი:**

– განა შეიძლება რამე ისეთი ვთქვა ჟანრიზე, რაც არ უთქვამთ? არაჩვეულებრივი ადამიანია, საოცრად ნიჭიერი მსახიობი, მხატვარი, კულინარი, მოქეიფე. რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? მისთვის მხოლოდ ქებადიდება მემეტება. უნიჭიერესი მსახიობია, კარგი პარტნიორი. ჟანრიზე ყოველთვის ასე ვამბობ – თუ გინდათ, ვიზუალურად წარმოიდგინოთ რა არის ნიჭი, უნდა შეხედოთ ჟანრი ლოლაშვილს. მართლა ყველანაირად ნიჭიერია – მუსიკაში, კულინარიაში, მხატვრობაში, მსახიობობაზე ხომ აღარ არის ლაპარაკი. ვულოცავ სულით და გულით, მაგრამ აქვე საყვედური მინდა ვუთხრა – 21 აპრილს ჩემი დაბადების დღე იყო, დაპატიჟებული გახლდათ, მაგრამ არ მოვიდა, ამიტომაც მილოცვასთან ერთად გავუშანშალე საყვედური.

**მარინა კახიანი, მსახიობი:**

– ალბათ, თვით განგებამ გადაწყვიტა თავიდანვე, როცა მის მშობლებს შთააგონა ასეთი ორიგინალური და თეატრალური სახელი დაერქმიათ – ჟანრი... ჟანრი ლოლაშვილი! მისი ნიჭიც, მისი სურვილებიც, მთელი მისი შემოქმედებაც გამორჩეული, განსაკუთრებული და, მე ვიტყოდი, განუმეორებელია მთელ ქართულ თეატრალურ სივრცეში. ბალზაკის სიტყვებს მოვიშველიებ – გენიალურობაში მშვენიერია, ის თითქმის ყველას ჰგავს, მას კი არავინ. წარმოუდგენელია დაემსგავსო, ან გაიმეორო ჟანრი! მისი თამაშის მანერა ინდივიდუალურია, მკვეთრი, მრავალფეროვანი. ჩემი ბავშვობისდროინდელი მოგონებებიდან ჟანრი დარჩა ოთხ ბრწყინვალე პერსონად შესრულებული მის მიერ – მერკუციო „რომეო და ჯულიეტა“, ავშაროვი „ქალის ტვირთი“, გრენგოლნი „გუშინდელნი“ და, რა თქმა უნდა, წამყვანი „კავკასიური ცარცის წრეში“. ჩემი თაობის გოგონებისთვის ჟანრი ჭეშმარიტად კერპი იყო და წარმოიდგინეთ ბედის საჩუქარი, როცა ჩემი პირველი როლით რუსთაველის თეატრის სცენაზე აღმოვჩნდი ბატონი ჟანრის პარტნიორად და ეს საბედნიეროდ არაერთხელ განმეორდა. ბატონი ჟანრი ძალიან დიდია, ძალიან ბევრია, ბრწყინვალე არტისტი, მხატვარი და, მე ვიტყოდი, დიდი, უბრალოდ ფართო მასებისთვის ჟანრი მსახიობმა დაჩრდილა ჟანრი მხატვარი. ფანტასტიკური თამადა, მომღერალი, მამა, მეუღლე, ბაბუა და მეგობარი. მე როგორც მეგობარს, არასოდეს მიგრძნია, რომ ის დიდია ყველანაირი გაგებით და მე – პატარა. ჟანრი, გილოცავ! მინდა მრავალი წელი გიყურო სცენაზე როგორც მაყურებელმა და კიდევ ბევრჯერ მომეცეს საშუალება სცენაზე შენ გვერდით ვიდგე. აი, ჩემი თავიც დავილოცე! მიყვარხარ, მიყვარხარ ძალიან!

# ამბროსი ხელაიას იუბილე მარტვილში იზეიმეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაბადებიდან 150 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა მარტვილში. ექსპოზიციის ორგანიზატორები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ჭყონდიდის ეპარქია იყვნენ. ამბროსი ხელაიას საიუბილეო გამოფენა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შედგა. მას ორგანიზატორებმა უწოდეს ,,სული ღმერთს, გული სამშობლოს (ამბროსი ხელაია-150)“. გამოფენა გაიმართა ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით.

გამოფენაზე საინფორმაციო ბანერების პარალელურად წარმოდგენილი იყო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალა, ძირითადად, ამბროსი ხელაიას, კალისტრატე ცინცაძის, კირიონ საძაგლიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილისა და ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივებიდან. გამოფენილი იყო პატრიარქის ქადაგებები, პირადი წერილები, ფოტოები, გადასახლებისა და დევნის ამსახველი მასალა.

გამოფენას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე დედაქალაქიდან მიწვეული სტუმრები დაესწრნენ. მათ შორის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების თავმჯდომარე რუსუდან კერვალიშვილი, ისტორიკოსი გიული ალასანია, ჯემალ გამახარია, კათოლიკოს-პატრიარქის შთამომავალი ანა კლდიაშვილი. გამოფენის გახსნის შემდეგ სტუმრები სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას დაესწრნენ ჯერ პატრიარქის მშობლიურ სოფელ იჩხურში, ხოლო მოგვიანებით სოფელ სალხინოში.

ამბროსი ხელაიას 150 წლის იუბილეს სპეციალური დოკუმენტების მიმოხილვა მიუძღვნა იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა.



– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმინდანად შერაცხული ამბროსი ხელაიას ხსნების დღეს ეროვნულ საარქივო ფონდში მასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიმოხილვა გაიხსნა. ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი ამბროსი ხელაია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 6 წლის განმავლობაში იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა აღიმაღლა ხმა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივშია 1922 წლის აპრილში, იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარე კონფერენციისადმი კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვა, სადაც იგი ,,კულტურულ საზოგადოებას“ სთხოვს, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს. ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მასზე მეთვალყურეობა დააწესა და მალე ამბროსი ხელაია დააპატიმრეს. არქივშია აგენტურული და სასამართლო პროცესის სტენოგრაფიული ჩანაწერები, პატრიარქის ხელით დაწერილი მიმართვის ტექსტი, დაკითხვის ოქმები, საბოლოო სიტყვა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა დროებითი მმართველის, ურბნელ მიტროპოლიტის ქრისტეფორეს მოხსენება საქართველოს მთავრობისადმი, სადაც იგი კათოლიკოს-პატრიარქის და სხვა სასულიერო პირების გათავისუფლებას ითხოვს. ამბროსი ხელაიასთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო დოკუმენტია დაცული საისტორიო ცენტრალური არქივშიც, მათ შორისა – დაბადების სააქტო ჩანაწერი, სასულიერო სემინარიაში სწავლის მასალები, საიდუმლო წერილი ეგზარქოს ალექსისადმი ამბროსი ხელაიას ანტისამთავრობო მოქმედებათა შესახებ, საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრის, ევროპაში საქართველოს ეკლესიის წამომადგენლის რაფიელ ივანიცკი-ინგოლის წერილები აკაკი ჩხენკელისადმი ბერლინიდან, მისივე საპროტესტო წერილები ერთა ლიგის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარისა და რომის პაპისადმი რუსი ბოლშევიკების მიერ ქართველების მიმართ ჩადენილი დანაშაულებათა გამო, სადაც მოხსენიებულია ამბროსი ხელაიას დევნის ამბავი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს (ციცქიშვილის) მიმოწერა კონსტანტინეპოლის პატრიარქ არქ-ეკუმენ ბასილ III-თან საქართველოს ყოფილი კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის საქმესთან დაკავშირებით, ფრანგულ ენაზე, – განაცხადა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ. ფასი 40.000 აშშ დოლარი. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ქირავდება ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გაზისა და წყლის გამათბობლები, ავეჯი) ბინა, ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ: 599-103-183.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძ-ღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.



# არმიამ რეგულარული წაუგებლად დაასრულა

## არმია – ოლიმპი 78:66

(17:18, 22:25, 20:16, 19:7)

არმიელებს მხოლოდ ერთი მოტივაცია ჰქონდათ – რეგულარული სეზონი წაუგებლად ჩაემთავრებიათ, სპორტის სამინისტროს გუნდს კი მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, რათა მეორე ადგილზე გასულიყვნენ და ქუთაისელებთან ნახევარფინალში მოედნის უპირატესობა დაებევებიათ. საბოლოოდ, „არმიამ“ ფეარ-პლეის პრინციპი დაიცვა და მეტოქეო დაძაბულ ბრძოლაში 78:66 დაამარცხა.

შორეული ტყორცნების წყალობით შეხვედრის პირველი ნახევარი „ოლიმპის“ უპირატესობით წარიმართა, რომელმაც მეტოქეს დაწინაურების საშუალება არ მისცა და ტაიმში 43:39 იმარჯვა. დრამატული გამოდგა მესამე მეოთხედი, რომელიც არმიელთა ოდნავი უპირატესობით წარიმართა. მეოთხედის ბოლოს კი თამაში ქულა-ქულაში წავიდა და ფრედ – 59:59 დასრულდა.

გადამწყვეტ მეოთხედში არმიელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს დაცვაში. ძალოვნებმა მეტოქეს არც სამქულიანის სროლის საშუელბა მისცეს, არც ფარქვეშ დაუტოვეს შანსი და მხოლოდ 7 ქულა ჩააგდებიეს.

„არმიას“ 15 ქულით ანატოლი ბოისამ ულიდერა, ხოლო 11 ქულითა და 10 მოხსნით ორმაგი დუბლი უილიამ ტომასმა შეასრულა. „ოლიმპის“ შემადგენლობაში გამოირჩა მიხეილ ბერიშვილი, რომელმაც საკუთარ გუნდს 17 ქულა შესძინა.

### მატჩის შემდეგ:

**კოტე ტუღუში, არმიის მწვრთნელი:**

– გახარებული ვარ რომ რეგულარული ჩემპიონატი წაუგებლად დავასრულეთ. კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით და ორმაგად მოხარული ვარ რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშე ჩვენი მხრიდან ანატოლი ბოისა იყო. გუნდურად კი ითამაშეს, მაგრამ ბოისას წამატებული თამაში იმითაა სასისახულო და აქამდე ყველა ამბობა, თითქოს ლეგიონერები იყვენენ ჩვენი ძირითადი ბირთვი და დღეს ქართველის ხარჯზე მოვიპოვეთ გამარჯვება. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს მოწინაალმდეგ გუნდს რომელმაც ძალიან დიდ ბრძოლა გაგვიმართა. პირველი ტაიმში ფენომენალური პროცენტულობით ესროლეს სამქულიანები და სერიოზული პრობლემები შეგვიქმნეს, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენ გარკვეული სამუშაო გავწიეთ, ისე ველარ ისროლა მოწინააღმდეგე გუნდმა და ამის ხარჯზე გავიმარჯვეთ.

**დასრულდა სუპერლიგის რეგულარული სეზონი. მართალია, იმ 8 გუნდის ვინაობა, ვინც პლეი ოფში ითამაშებს გარკვეული იყო, მაგრამ ჯერ არ იყო დაზუსტებული ადგილების თანმიმდევრობა, ანუ ვინ-ვის შეხვდებოდა.**

**გია კაზანჯიანი, ოლიმპის მწვრთნელი:**

– ვულოცავ „არმიას“ გამარჯვებას, ბრწყინვალედ ითამაშეს განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში სადაც ზრაპრული დაცვა ითამაშეს და არანაირი შანსი არ დაგვიტოვეს, 7 ქულა გავაკეთეთ საერთოდ იმ მეოთხედში. თვაიდან ძალიან კარგად ვისროლეთ შორიდან და 10-დან 7 სამქულიანი ჩავაგდეთ, მოველოდით, რომ ასე მთელი თამაში არ წაგვივიდოდა და ასეც მოხდა. მეორე ტაიმში10-დან მხოლოდ 1 ჩავაგდეთ და შიგნიდანაც არ წაგვივიდა თამაში – ჩვენმა მაღლებმა ვერ ითამაშეს. „არმია“ ფიზიკურადაც ძალიან ძლიერი გუნდია და ვიმედოვებ, რომ მიომავალში ამ გუნდთან უკეთეს თამაშს ვაჩვენებთ.

**ანატოლი ბოისა:**

– ყველა ამ თამაშს ელოდებოდა და დიდი ხანია რაც ამ მატჩზეა საუბარი. სატურნირო ცხრილის მიხედვით ამ გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა არა, მაგრამ დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა. მთავარი იყო, თუ როგორი თამაშით გადავიდოდით პლეიოფში. დიდი მადლობა „ოლიმპის“ გუნდს ასეთი შესანიშნავი მატჩისთვის. ამ თამაშმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. გულშემატკივარმა და ტელევიზორთან მყოფმა მაყურებელმა კი დიდი სიამოვნება მიიღო ამ შეხვედრით.



**მიხეილ ბერიშვილი:**

– მესამე მეოთხედში ვერ შევძელით მეტოქისთვის წინააღმდეგობის გაწევა ფიზიკურად და ამის გამო დავმარცხდით. ვულოცავ „არმიას“ და მის ყველა გულშემატკივარს ამ გამარჯვებას.

## თსუ – დინამო 98:95

(27:15, 17:17, 14:30, 28:24)

